ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა ლორთქიფანიძე

უცხოეთში განათლება-მიღებული ქართველი სტუდენტების ინტეგრაცია საქართველოს შრომით ბაზარზე

სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

მსოფლიოს მასშტაბით, სულ მეტი და მეტი სტუდენტი ეუფლება უმაღლეს განათლებას საზღვარგარეთ. საქართველოშიც გაზრდილია უცხოეთში განათლება-მიღებული ადამიანების რიცხვი. მრავალ კვლევაზე დაყრდნობით, არსებობს კორელაცია განათლებასა და დასაქმებას შორის, შესაბამისად ნაშრომის მიზანია ვიკვლიოთ უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების ინტეგრაცია საქართველოს შრომით ბაზარზე. აღნიშნული მიზნის შესაბამისად, დასახულია ოთხი ამოცანა: 1. სტუდენტების უცხოეთში წასვლის მიზეზების კვლევა 2. უცხოეთში მიღებული განათლების და შრომითი გამოცდილების კვლევა 3. საქართველოში დაბრუნების მიზეზების კვლევა 4. საქართველოს შრომით ბაზართან ინტეგრაციისას წამოჭრილი სირთულეების და მათთან გამკლავების საშუალებების კვლევა. ამოცანების შესაბამისად, შემუშავებულია შემდეგი ჰიპოთეზები: 1. ახალი გამოცდილებების მიღების სურვილი და პრესტიჟული სასწავლებლის დიპლომი ქართველი სტუდენტების უცხოეთში წასვლის ერთ-ერთი მთავარი მოტივი უნდა იყოს. 2. ქართველ სტუდენტებს, აკადემიური გამოცდილების გარდა, უცხოეთში უნდა ჰქონდეთ მიღებული შრომითი გამოცდილებაც. 3. ქართველი სტუდენტების საქართველოში დაბრუნების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს, საქართველოში კარგად დასაქმების მოლოდინი წარმოადგენს 4. უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებული ქართველი სტუდენტები განიცდიან კულტურულ შოკს საქართველოს შრომით ბაზარზე ადაპტაციისას, რადგან მათი სტანდარტები და მოლოდინები, თავდაპირველ ეტაპზე მაინც, ნაკლებად შეესაბამება საქართველოს შრომით ბაზარზე არსებულ რეალობას. მონაცემები შეგროვდა რვა ჯგუფური ინტერვიუს მეშვეობით, სადაც გამოიკითხა ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხის მფლობელი 22 ადამიანი, რომელმაც 2005 წლის შემდეგ განათლება ამერიკაში და ევროპაში მიიღო შემდეგი ოთხი მიმართულებით: იურიდიული, ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული და STEM. დამატებით, ორი ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა იმ ადამიანებთან რომლებიც ეხმარებიან ქართველ სტუდენტებს მიიღონ განათლება უცხოეთში. როგორც კვლევამ აჩვენა: 1. ქართველი სტუდენტებისათვის უცხოეთში

სწავლების ძირითადი მოტივია: ახალი გამოცდილების მიღების სურვილი, წნეხი სოციალური გარემოდან და უკეთესი ხარისხის განათლების მიღების სურვილი, მომავალში უკეთესი დასაქმების პერსპექტივით. 2. ბაკალავრის დონეზე, სტუდენტების უმრავლესობამ გაირა სტაჟირება ან იმუშავა ანაზღაურებად სამუშაოზე. მაგისტრატურის დონეზე თითქმის არავის გაუკეთებია სტაჟირება და არც ანაზღაურებად სამსახურში უმუშავია, დროის სიმწირის გამო. 3. სამშობლოში დაბრუნების ძირითადი მოტივი იყო უცხოეთში დარჩენის სირთულე, ვიზის პრობლემის გამო 4. საქართველოში დაბრუნებული სტუდენტები, თავდაპირველ ეტაპზე აწყდებიან საქართველოს შრომით ბაზარზე ადაპტაციის სირთულეებს, რომელიც დაკავშირებულია კულტურულ შოკთან და სოციალური კაპიტალის ნაკლებობასთან. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ისინი ადაპტირდებიან საქართველოს შრომითი ბაზრის გარემოსთან და უმეტეს შემთხვევაში პოულობენ თავისთვის საინტერესო სამსახურს, თუმცა ამისთვის ხშირ შემთხვევაში თამასის დაწევა უხდებათ.

Abstract

More and more students around the world are pursuing their education abroad. Number of students getting education from abroad is increasing in Georgia as well. The goal of this study is to research integration of Georgian students who studied abroad into Georgian labor market. Following objectives are set for this research: 1. Study reasons behind students' motives to pursue education abroad 2. Study labor or internship experience gained by students while studying abroad 3. Study reasons behinds intentions to return to Georgia. 4. Study the barriers that Georgian students who studied abroad are facing on the Georgian labor market and how are they dealing with these obstacles. In accordance to the listed objectives, following hypotheses have been proposed: 1. one of the main motives for Georgian young adults to continue their education abroad should be urge to get new experience and better education, with the perspective of better job opportunities 2. Georgian

students should have also received labor experience via internships or other channels, in addition to the traditional education gained abroad 3. The main rationale behind Georgian students returning to the homeland should be expectation of better employment in Georgia 4. Georgian students returning to homeland should be experiencing reverse cultural shock while adapting to Georgian job environment. Data was gathered from 8 group interviews, where respondents were BA or MA holders, who received their education since 2005 in Europe and the U.S in four of the following fields: Law, Business and economics, humanities and STEM. In addition, two in depth interviews were conducted with professionals, who assist Georgian students to studying abroad. The results of the research have demonstrated that: 1. the main motivating factor for students to study abroad is urge for new experiences as well as desire to get a better quality education for better job opportunities in the future. 2. Majority of BA students have either undergone internships of have had paid jobs. Nearly none of the MA students have had the similar experience. 3. The main motives for returning home, were associated with the difficulties of staying abroad in regards to visa regulations 4. Students returning to Georgia on the first stage are facing challenges while adapting to Georgian labor market, but after a while majority of them who stay in Georgia, are able to find satisfactory jobs.

სარჩევი

1. შესავალი **6**

2. ლიტერატურის მიმოხილვა **10**

2.1 განათლებისა და დასაქმების ურთიერთმიმართება 10

2.2 უცხოეთში განათლების მიღების მოტივები 14

2.3 უცხოეთში სწავლისას მიღებული შრომითი გამოცდილება 17

2.4 სამშობლოში დაბრუნების მოტივები 18

2.5 შრომით ბაზარზე ინტეგრაციის სირთულეები 18

3. კვლევის მეთოდი **23**

4. კვლევის შედეგები **26**

4.1 ზოგადი რეზიუმე 26

4.2 უცხოეთში განათლების მიღების მოტივები 29

4.3 უცხოეთში მიღებული სამუშაო გამოცდილება 38

4.4 სამშობლოში დაბრუნების მოტივები 41

4.5 საქართველოს შრომით ბაზარზე ინტეგრაციის სირთულეები 44

5. დისკუსია **52**

6. გამოყენებული ლიტერატურა **58**

7. დანართი **65**

7.1 თავფურცელი ინგლისურად 65

7.2 ჯგუფური ინტერვიუს სახელმძღვანელო 66

7.3 ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი-განათლების საერთაშორისო ცენტრი 71

7.4 ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი-თბილისის ამერიკული აკადემია 73

1. შესავალი

სტუდენტთა რიცხვი, რომელიც სამშობლოს საზღვრებს გარეთ სწავლაზე აკეთებს არჩევანს, ექსპონენციალურად იზრდება (Perkins& Neumayer, 2013). იუნესკოს განმარტებით, საერთაშორისო მობილური სტუდენტი არის ადამიანი ვინც ფიზიკურად გადაკვეთა საერთაშორისო საზღვარი, დანიშნულების იმ ქვეყანაში განათლების მისაღებად, რომელიც განსხვავდება ამ ინდივიდის სამშობლოსგან (UNESCO, 2015).

იუნესკოს მონაცემებზე დაყრდნობით, თუ 1975 წლისთვის, უმაღლეს განათლებას საზღვარგარეთ 0.8 მილიონი სტუდენტი ეუფლებოდა, 2005 წელს ამ რიცხვმა 2.8 მილიონი შეადგინა, ხოლო სულ რაღაც 8 წელიწადში, თითქმის გაორმაგდა და 2013 წელს 4.1 მილიონს მიაღწია (UNESCO, 2015). 2005 წლიდან საქართველოშიც გაზრდილია იმ სტუდენტთა რაოდენობა ვინც საზღვარგარეთ ირჩვეს სწავლას. თუ 2005 წელს UNESCO მონაცემების მიხედვით, 1712 სტუდენტი სწავლობდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, 2017 წელს ამ რიცხვმა 5363 შეადგინა.

დამატებით, თბილისში მომრავლდა ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მქონე საშუალო სკოლების რაოდენობა, რომლებიც მოსწავლეებს უცხოეთში განათლების მისაღებად ამზადებენ. 1995 წელს დაარსდა ხარისხის საერთაშორისო სკოლა (QSI), 2001 წელს- გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში, 2006 წელს ბრიტანული აკადემია, ხოლო 2007 წელს- ევროპული სკოლა. გარდა იმისა, რომ ეს სკოლები მოსწავლეებს კარგ განათლებას აძლევენ, ისინი ასევე ამზადებენ მათ მომავალში უცხოეთში განათლების მისაღებად. მაგალითისათვის, ამერიკული აკადემიიდან, ჯამში, 700-მდე სტუდენტი გაემგზავრა უცხოეთში სასწავლებლად. ამასთან, წლებთან ერთად, გაიზარდა უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად წასულ სტუდენტთა რიცხვიც.

გრაფიკი 1. ამერიკული აკადემიის მოსწავლეების რაოდენობა, რომლებმაც უმაღლესი განათლება საქართველოს საზღვრებს გარეთ მიიღეს, წლების მიხედვით



წყარო: გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიის ადმინისტრაცია, არა საჯარო ინფორმაცია

2014 წელს შეიქმნა განათლების საერთაშორისო ცენტრიც, რომელმაც 2014-2018 წლებში 650 სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. ასევე, როგორც განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლის ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამაში ERASMUS+, რის შედეგადაც 2015 წლიდან 1500-ზე მეტი ქართველი სტუდენტის სწავლა დაფინანსდა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში.

ზოგადად, სტუდენტური მიგრაციები მჭიდრო კავშირშია გლობალიზაციის პროცესთან. საქართველოში სტუდენტთა გაზრდილი საერთაშორისო მობილობა კი, დამატებით განპირობებულია საბჭოთა კავშირის რღვევით და საზღვრების გახსნითაც, რადგან რეპრესიული ზომები, რომელსაც მიმართავდა საბჭოთა კავშირი, არ აძლევდა მოქალაქეებს უცხოეთში მოგზაურობის საშუალებას, და შესაბამისად, მიგრაციის ნიშნულიც იმაზე დაბალი იყო, ვიდრე სხვა შემთხვევში იქნებოდა (Massey, 2003). გლობალურად კი, ცივი ომის

დასასრული იყო ერთ-ერთი მთავარი მოვლენა, რომელმაც გაზარდა მიგრაციის რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით. (Massey, 2003).

განსაკუთრებით საინტერესოა იმ ქართველი სტუდენტების გამოცდილება, ვინც განათლება ჩრდილოეთ ამერიკაში ან ევროპაში მიიღო, რადგან: 1) UNESCO მონაცემების მიხედვით, ეს რეგიონი ქართველი სტუდენტებისათვის ყველაზე პოპულარულია უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად; 2) 2005 წლიდან საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რომელიც ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესს მოიაზრებს; 3) 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ცალკეული თავებით განისაზღვრა მეცნიერებისა და განათლების სფეროში ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობა.

სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით, განათლების მაღალი ხარისხი, კარებს უხსნის ინდივიდებს, რათა მომავალში მეტად და წარმატებულად დასაქმდნენ. შესაბამისად, საინტერესოა რამდენად ამართლებს ეს თეორია, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც 2018 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 12.7% -ია (საქსტატი) და რამდენად ახერხებენ უცხოეთში პრესტიჟული უნივერსიტეტების დამთავრებული სტუდენტები საქართვლოში წარმატებულად დასაქმებას .

მიუხედავად საერთაშორისო მობილური სტუდეტების გაზრდილი რიცხვისა, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში, მიგრაციის ლიტერატურაში საერთაშორისო სტუდენტების მიგრაცია, ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ სფეროდ რჩება (King & Raghuram, 2012). კიდევ მეტად შეუსწავლელი რჩება ქართველი სტუდენტების მიგრაციისა და შემდეგ მათი ქართულ სივრცეში და საქართველოს შრომით ბაზარზე ინტეგრაციის საკითხი.

უცხოეთში განათლება მიღებული ქართველი სტუდენტების გაზრდილი რიცხვი, იწვევს შეკითხვას თუ როგორ ახდენენ ეს სტუდენტები მომავალში უცხოეთში მიღებული განათლებისა და გამოცდილების რეალიზაციას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს შრომით ბაზარზე. თოთოეული სტუდენტის განათლებაში, რომელიც სწავლას უცხოეთში აგრძელებს საკმაოდ დიდი ფულადი ინვესტიცია იდება, იქნება ეს საქართველოს სახელმწიფო, სხვა ქვეყნის სახელმწიფო თუ კერძო პირები; შესაბამისად, საინტერესოა რამდენად ეფექტურად მოიხმარს საქართველო ამ ინვესტიციას, უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების საქართველოს შრომით ბაზარზე დასაქმების კუთხით. საინტერესოა, თუ რამდენად ადგება უცხოეთში მიღებული განათლება თავად ინდივიდს, რომელმაც უცხოეთში მიიღო განათლება და დაბრუნდა სამშობლოში, იმ სფეროს ან დარგს, რომელშიც მიიღო განათლება და თავად ამ ინდივიდის ქვეყანას, ამ შემთხვევაში საქართველოს. შესაბამისად, ამ ნაშრომის **მიზანია:** უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტების ინტეგრაციის კვლევა საქართველოს შრომით ბაზარზე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დასახულია შემდეგი **ამოცანები:**

- სტუდენტების უცხოეთში წასვლის მიზეზების კვლევა
- სტუდენტების უცხოეთში მიღებული განათლებისა და გამოცდილების კვლევა
- სტუდენტების საქართველოში დაბრუნების მიზეზების კვლევა
- იმის კვლევა თუ, რა დაბრკოლებებს აწყდებიან ქართულ შრომის ბაზარზე ინტეგრაციის პროცესში და როგორ უმკლავდებიან ამ დაბრკოლებებს;

დასახული მიზნების შესაბამისად, არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, შემუშავებულია შემდეგი **ჰიპოთეზები:**

- ახალი გამოცდილებების მიღების სურვილი და პრესტიჟული სასწავლებლის დიპლომი, რომელიც მომავალში მეტ დასაქმების პექსპექტივასთან იქნება

ასოცირებული, ქართველი სტუდენტების უცხოეთში წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უნდა იყოს.

- ქართველ სტუდენტებს, აკადემიური გამოცდილების გარდა, უცხოეთში უნდა ჰქონდეთ მიღებული შრომითი გამოცდილებაც, როგორც ანაზღაურებადი ისე ანაზღაურების გარეშე, რომელიც მეტ-ნაკლებად კავშირშია მათ მიერ არჩეულ აკადემიურ მიმართულებასთან.
- ქართველი სტუდენტების საქართველოში დაბრუნების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს, საქართველოში კარგად დასაქმების მოლოდინი წარმოადგენს.
- უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებულ ქართველი სტუდენტები განიცდიან კულტურულ შოკს საქართველოს შრომით ბაზარზე ადაპტაციისას, რადგან მათი სტანდარტები და მოლოდინები, თავდაპირველ ეტაპზე მაინც, ნაკლებად შეესაბამება საქართველოს შრომით ბაზარზე არსებულ სტანდარტებს.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 განათლებისა და დასაქმების ურთიერთმიმართება

დღეს-დღეობით, გლობალური სიმდიდრე ნაკლებად არის კონცენტრირებული ქარხნებზე, იარაღებსა და დანადგარებზე. ადამიანის ცოდნა, უნარ-ჩვევები და რესურსი სულ უფრო კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება მსოფლიო ეკონომიკისთვის. მსოფლიო ბანკის ანგარიშზე დაყდნობით (World Bank, 2000) , ამერიკაში ადამიანური კაპიტალი სამჯერ მეტად მაინც ფასობს ვიდრე ფიზიკური კაპიტალი, შესაბამისად, განათლება ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პრიორიტეტი ხდება. მაღალი ხარისხის ადამიანური კაპიტალი მაღალი ხარისხის მქონე განათლების სისტემაში ყალიბდება, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის შემდგომ განათლებას. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, გაიზარდა ახალგაზრდა მოქალაქეების რიცხვი, რომლებიც უმაღლეს განათლებას ეუფლებიან.

ზოგადად, განათლება აღიქმება როგორც გზა უკეთესი მომავლისთვის, რომელსაც ძალუძს შექმნას უფრო მშვიდობიანი საზოგადოება და მათ შორის ხელი შეუწყოს ადამიანის მომავალ დასაქმებას. მიჩნეულია, რომ კაცობრიობის პროგრესი, განსაკუთრებით ბოლო ორასი წლის განმავლობაში, დიდწილად არის განპირობებული განათლების უფრო მაღალი ხარისხით (Stevens & Weale, 2004), და განათლების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ელემენტები პირდაპირ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (Schlottmann, 2010). სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებში განათლების მიღების შემთხვევაში, ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა და ხელი შეუწყონ ქვეყნის განვითარებას, რაც ნათლად მოითხოვს ძალისხმევას, ყველა პროფესიის წარმომადგენლისაგან.

მინსერის (Mincer, 1974) მოდელზე დაყრდნობით, სწავლაში გატარებული ერთ დამატებითი წელი, ადამიანის შემოსავალს 10%-ით ზრდის ამერიკაში. მიუხედავად ამისა, შემოსავლები განსხვავებულია ქვეყნებისა და განათლების მიღების შემდეგ განვლილი დროის მიხედვით (Krueger & Lindahl, 2001). განათლებასთან ასოცირებული შემოსავლები უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც ზოგადად საშუალო ხელფასი უფრო დაბალია (Psacharopoulos & Patrinos, 2004). მაგალითისათვის, აღნიშნული კვლევის მიხედვით (Psacharopoulos & Patrinos, 2004) , განათლებაზე დახარჯული თანხიდან, საშუალოდ ყველაზე დიდი სარგებელი ლათინური ამერიკის, კარიბიის და სუბ საჰარული აფრიკის რეგიონში ვლინდება. აზიაში სწავლაზე დახარჯული რესურსიდან მიღებული სარგებელი მსოფლიოს საშუალოსთან არის ახლოს. ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის (OECD), სწავლაზე დახარჯული რესურებიდან მიღებული სარგებელი უფრო დაბალია. საინტერესოა, რომ ევროპის ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან OECD-ის ნაწილი და ასევე ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებისათვის, განათლებაში ჩადებული ინვესტიციიდან დაბრუნებული სარგებელი ყველაზე დაბალია. დამატებით, ჩინეთის მაგალითზე, მკვლევარები ასკვნიან, რომ უცხოეთში მიღებული განათლება, დადებით

კორელაციაშია უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტების ხელფასთან (Zweig and Han, 2010).

ნევადას უნივერსიტეტის პროფესორის, ალან შლოტმანის მიერ ჩატარებული კვლევა (2010) ასკვნის, რომ: 1) საერთო ჯამში, განათლების დონე პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ზრდაზე, როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის თვალსაზრისით 2) განათლება დადებით დამოკიდებულებაშია ხელფასთან 3) უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად მცირდება გაზრდილი განათლების დონის პარალელურად (Schlottmann, 2010).

დამატებით, იუნესკოს კვლევებზე დაყრდნობით, სწავლაში გატარებული ერთ დამატებითი წელი, მთლიან შიდა პროდუქტს 18 პროცენტით ზრდის. ზოგიერთი მკლევარი იმასაც კი ვარაუდობს, რომ ყველა ბავშვს, რომ ესწავლა კითხვა, მსოფლიოში 170 მილიონით ნაკლები მშიერი ადამიანი იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული კვლევები მიუთითებენ განათლების და დასაქმების დონესთან დაკავშირებულ პოზიტიურ კორელაციაზე, პანა და მოსორა (2013), პრობლემას „ზედმეტი“ განათლების დონეშიც ხედავენ, რომელიც არაეფექტურია ადამიანების შრომის ბაზარზე დასაქმებაში. „ზედმეტი“ განათლების დონე განისაზღვრება, როდესაც ფიზიკური პირები შეიძინებენ იმ უნარებს, რომლებიც უფრო მაღალია, ვიდრე შრომის ბაზრის საჭიროება. ეს იქნება თვისებრივი ჭარბი აკუმულაცია. მეორეს მხვრივ, უმაღლესი განათების მფლობელთა რაოდენობრივმა ზრდამაც, შეიძლება რაოდენობრივი ჭარბი აკუმულაცია გამოიწვიოს. ორივე შემთხვევაში, არსებული საგანმანათლებლო კაპიტალი აღემატება შრომითი ბაზრის საჭიროებებს გარკვეულ მომენტში.

ხარისხობრივად ჭარბი განათლება შეიძლება გამოწვეული იყოს განათლებისა და უნარ-ჩვევების არასწორი შეფასებით ბაზრის მოთხოვნილებებთან მიმართებაში. ხშირად, ადამიანები თავიანთ დიპლომებს მოიხმარენ როგორც მათი უნარ-ჩვევების მალეგიტიმირებელ ხელსაწყოებს, რათა შრომით ბაზარს მიაწვდინონ ხმა თავიანთი

მიღწევების შესახებ (Spence, 1973). სინამდვილეში კი, პანას და მოსაროს (2013) აზრით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ის უნარ-ჩვევები, რაც ადამიანმა თუნდაც პრესტიჟულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიიღო, განსხვავდება შრომითი ბაზრის მოთხოვნებისგან და არ აკმაყოფილებს მათ. მსგავსი კონსტელაცია შეიძლება გამოწვეული იყოს შრომითი ბაზრის პოლიტიკით, რომელიც სამსახურში ასაყვანად აუცილებლად ითხოვს ცოდნის ფორმალურ დადასტურებას. შესაბამისად, ავტორები ასკვნიან, რომ არასწორია, ვივარაუდოთ, რომ განათლების მაღალ დონეს აუცილებლად მივყავართ შრომის პროდუქტიულობასა და შემოსავლის ზრდასთან.

მსოფლიო ბანკის მიერ პაკისტანსა და განაში 2008 წელს ჩატარებული კვლევის დასკვნაშიც წერია, რომ საჭიროა უფრო ფართო მაკროეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინება, იმისათვის, რომ განათლებამ ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. მაგალითად, განათლებისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისაკენ მიმართული პოლიტიკა ექვემდებარება შეზღუდულ გავლენას იმ პირთა შემოსავლებზე, რომლებიც შეიძენენ ამ უნარებს თუ შრომით ბაზარზე არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნა და წახალისებები ამ უნარ-ჩვევების მიმართ. განათლება-შრომის ბაზრის კავშირების სრულყოფილი სურათის მისაღებად, ნებისმიერ ქვეყანაში, მიწოდების ანალიზი უნდა შეივსოს მოთხოვნის ანალიზით. თუ განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური ზრდას, განათლების პოლიტიკამ უნდა განიხილოს როგორც განათლების მიწოდების მხარე (ხარისხი და ეფექტურობა) ასევე, მოთხოვნა განათლებაზე. მსგავსი კომპლექსური მიდგომის გარეშე, შეიძლება მოხდეს აცდენა განათლებასა და შრომით ბაზარზე მოთხოვნად უნარ-ჩვევებს შორის.

მსგავს ხედვას საქართველოს პარლამენტის წევრების ნაწილიც იზიარებს. მაგალითად, გია ჟორჟოლიანი 2019 წლის მაისის გამოსვლაში, საპარლამენტო შეკრებაზე ამბობს: ,,მე მგონია ჩვენ ერთ შეცდომასთან გავქვს საქმე. დავაკვირდეთ ისტორიას, დავაკვირდეთ ალგორითმს, და ეს სახელმძღვანელოებშიც წერია, განათლების როლი და ფუნქცია იზრდება მოთხოვნის

მიხედვით. არ იზრდება იმის მიხედვით, რომ „აი რა კარგია რომ ჩვენ ვიყოთ განათლებულები“. თუ ჩვენი ეკონომიკის ტრანსფორმირება არ მოხდა, თუ მოდერნიზება არ მოხდა ჩვენი ეკონომიკისა, ჩვენი ყველა განათლების რეფორმა განწირულია ჩასავარდნად. იმიტომ არის, რომ 25 წელია ვაკეთებთ განათლების რეფორმას, და უმაღლესი ხარისხის განათლება არ ჭირდება ჩვენს ეკონომიკას. რამდენადაც არ ჭირდება ჩვენს ეკონომიკას ესეთი ხარისხის განათლება, ასეთი მოთხოვნა არ არის და უკეთეს შემთხვევაში ეს ადამიანები პოულობენ ასეთ მოთხოვნებს სხვა ქვეყნებში...მივხედოთ იმ საქმეს, რომელიც მოითხოვს ამ განათლებას, აქედან დავიწყოთ“.

შესაბამისად, უცხოეთში განათლება მიღებული ქართველი სტუდენტების შემთხვევაში, სიანტერესოა ვიკვლიოთ, თუ რამდენად ჰქონდათ წარმოდგენა საქართველოს შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესახებ უცხოეთში სწავლის გაგრძელების დაწყებამდე და თუ რამდენად შეიძლება მსგავსი ინფორმაციული ვაკუუმი ყოფილიყო მათ წინაშე დღეს არსებული ბარიერების მიზეზი.

2.2 უცხოეთში განათლების მიღების მოტივები

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკი (2008) და პანა და მოსარა (2013) ამბობენ, რომ განათლება შეიძლება ნაკლებად ეფექტური იყოს, თუ წინასწარ არ იქნება გათვალისწინებული კონკრეტული განათლების მქონე ადამიანზე საბაზრო მოთხოვნები, არც ისინი უარყოფენ იმ აზრს, რომ განათლება შეიძლება უფრო მაღალ შემოსავალთან იყოს ასოცირებული. მკვლევრები, რომლებიც საერთაშორისო მობილური სტუდენტების მოტივებს იკვლევენ უცხოეთში განათლების მისაღებად, თანხმდებიან, რომ განათლების უცხოეთში მიღების ერთ-ერთი მთავარი მოტივი, მაღალი ხარისხის განათლების მიღებაა, პრესტიჟული უნივერსიტეტიდან, მომავალში უკეთესი დასაქმების პერსპექტივის მოლოდინში. სწორედ ამ ლიტერატურიდან გამომდინარე, ამ ნაშრომის პირველი ჰიპოთეზაა, რომ ქართველი სტუდენტების უცხოეთში გამგზავრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი პრესტიჟული სასწავლებლის დიპლომის მიღება უნდა იყოს, რომელიც მომავალში

მეტ დასაქმების პექსპექტივასთან იქნება ასოცირებული. ფუნქციონალიზმის მიხედვით, განათლება არის კაპიტალდაბანდება მომავლისათვის, რომელიც როგორც, ყოველი კაპიტალდაბანდება, მომგების მომტანი უნდა იყოს (სმელზერი, n.d). პერკინსი და ნეუმარი (Perkins and Neumayer, 2014) ასკვნიან, რომ გრძელ ვადიან პერსპექტივაში უფრო მაღალი შემოსავლის მოლოდინი, იგივე სასაუბრო ენა, და იმ ქვეყანაში ზოგადად არსებული არსებული მიგრაციული ისტორია, უცხოეთში სწავლის გაგრძელების ყველაზე ძლიერი მამოტივირებელი ფაქტორებია. პერკინსისა და ნეუმარის (2014) მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტუდენტებს სხვადასხვა ქვეყნიდან, მსგავსი მოტივები აქვთ, უცხოეთში განათლების მიღებისათვის, მაინც არსებობს განხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. განვითარებადი ქვეყნის სტუდენტებისათვის, იმ უნივერსიტეტში სწავლების ხარისხი, რომელშიც უნდა გააგრძელონ სწავლა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განვითარებული ქვეყნის მოსწავლეებისათვის. კერძოდ, თუ ადგილობრივი უნივერსიტეტის სწავლების ხარისხი არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი სტუდენტური მიგრაციისა განვითარებულ ქვეყანაში, განვითარებად ქვეყანაში უკეთესი დონის და ხარისხის საგანმანათლებლო დაწესებულების მოძიების სურვილი უფრო მაღალია უცხოეთში განათლების გადაწყვეტილების მიღებისას. მეტიც, რიგი კვლევების მიხედვით (Riano & Piguet 2016), თუ სამხრეთ აფრიკის კონტინენტის ქვეყნებიდან (განა, სენეგალი, ნიგერი) სტუდენტების უცხოეთში გამგზავრების მამოტივირებელი ფაქტორები უკეთესი დასაქმების პერსპექტივები, კარიერული წინსვლა, უკეთესი ხელფასები, უფრო მაღალი განათლების დონე, და მშობლიურ ქვეყანაში სტაბილურობის გარანტიის ნაკლებობა, ბრიტანეთის სტუდენტებისათვის, ერთ-ერთი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი გაეგრძელებინათ სწავლა უცხოეთში, იყო თავგადასავლის და ახალი გამოცდილების მიღების სურვილი. როგორც დევიდ მაკნამარასა და რობერტ ჰარისის (1997) წიგნშია აღნიშნული, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც სტუდენტები დიდ ბრიტანეთში ირჩევენ სწავლის გაგრძელებას, არის ბრიტანეთში არსებული განათლების მაღალი სტანდარტი და ხარისხი, ბრიტანეთში არსებული განათლების სტანდარტის

საერთაშორისო რეპუტაცია და ცნობილი უნივერსიტეტების არსებობა ამ ქვეყანაში. საინტერესოა, ქართველი სტუდენტების უცხოეთში სწავლის მოტივაცია, რომელი სუტდენტების მოტივაციასთან უფრო ახლოს დგას, აფრიკელ თუ ბრიტანელ სტუდენტებთან? ვვარაუდობ, რომ საქართველოში უნდა იყოს სინთეზი ორივე მოტივაციისა, ქართველი სტუდენტების მამოტივირებელი ფაქტორი უნდა იყოს როგორც მომავალში უკეთესი დასაქმების პერსპექტივა, ასევე ახალი თავგადასავლებისა და გამოცდილების მიღების სურვილი.

დამატებით, ვალერშტაინის მსოფლიო სისტემების თეორიაზე დაყრდნობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი სტუდენტების უცხოეთში სწავლების მოტივაცია, ასევე უნდა იყოს გამოწვეული პერიფერიული ქვეყნიდან ძირითად (ცენტრალურ) ქვეყანაში მიგრაციით. მსოფლიო სისტემის თეორიის მიხედვით, რომელიც 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა, და მე-18 საუკუნის შუა წლებს ეყრდნობა, მსოფლიო დაკავშირებულია ერთმანეთთან ეკონომიკური ურთიერთობებით. მსოფლიოს სისტემა შედგება ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნებისაგან, რომელთაც ცეტრალური ქვეყნები ეწოდებათ (core) და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისაგან, რომელთაც ვალერშტაინი როგორც პერიფერიულ ქვეყნებს ისე მოიხსენიებს (Wallerstein, 2004). მსოფლიო სისტემების თეორია, განიხილავს მიგრაციას პერიფერიიდან ცენტრის მიმართულებით. ამ თეორიის შესაბამისად, საქართველო უნდა განვიხილოთ როგორც პერიფერიული ქვეყანა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები, როგორც ცენტრი (Chankseliani, 2015). ამ თეორიის მიხედვით, საფუძვლიანია ვივარაუდოთ, რომ ქართველი სტუდენტების გადაწყვეტილებაში ისწავლონ უცხოეთში, მიმღები ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერეც უნდა თამაშობდეს როლს, და ქართველ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ სურვილი ეკონომიკურად უფრო ძლიერ ქვეყანაში, ანუ ცენტრალურ ქვეყანაში მიიღონ განათლება. საზღვარგარეთ სწავლა შეიძლება დაკავშირებულ იყოს სტუდენტის განზრახვასთან, დარჩეს დანიშნულების ქვეყანაში სამუშაო გამოცდილების მიღების, მოკლევადიანი ან მუდმივი

დასაქმების მიზნით. კვალიფიციური სპეციალისტების ხელფასები უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად, ამ ქვეყნებში მიგრაციის შესაძლებლობა განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებისათვის ზრდის ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციებიდან მიღებულ სარგებელს (Chankseliani, 2015).

2.3 უცხოეთში სწავლისას მიღებული შრომითი გამოცდილება

შესაბამისი განათლების გარდა, ნელ-ნელა, სტაჟირებაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება მომავალში კარგი სამსახურის მოძიებისათვის. სტაჟირებისას ან თუნდაც ანაზღაურებადი სამსახურისას სწავლის პარალელურად, სტუდენტები იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას და ხშირ შემთხვევაში ეძლევათ შესაძლებლობა, საკლასო ოთახში მიღებული ცოდნა რეალურ სიტუაციას მოარგონ. მსგავს გამოცდილებას ყურადღებას აქცევენ დამსაქმებლებიც, რადგან მათთვისაც ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანის აკადემიური ცოდნა, არამედ მის პრაქტიკულ გამოცდილებასაც. სტაჟირებებისა და პრაქტიკული გამოცდილების აქტუალურობას, ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის სიტყვებიც, სადაც ის ამბობს რომ: „სტაჟირება ძალიან ძალიან დიდი ფაქტორია ჩვენს ქვეყანაში“, ხოლო ვისკონსინის მმართველმა, ვოკერმა, კი 2017 წელს შექმნა წესი, რომლის მიხედვითაც ყველა სტუდენტს, რომელიც დაასრულებს ბაკალავრიატს, უნდა ჰქოდნეს გავლილი სტაჟირება (Hora, Wolfgram & Thompson, 2017). როგორც იაკობის, ალისა და რადზის (2017) მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაასკვნა, სტაჟირება ან სტუდენტობის დროს მიღებული სამუშაო გამოცდილება, მათივე შეფასებით დადებითად აისახებოდა მომავალში როგორც სამუშაოს მოპოვებაზე, ასევე დასაქმებისას მათ სამუშაო ხარისხზე. შესაბამისად, საინტერესოა ვიკლიოთ, თუ რამდენად მიიღეს უცხოეთში სწავლისას ქართველმა სტუდენტებმა შრომითი გამოცდილება სტაჟირების ან რაიმე სხვა სახით, და მათი აზრით, რამდენად გამოადგათ და ადგებათ ის შეძენილი უნარ ჩვევები, რომლებიც სტაჟირების ან ანაზღაურებად სამსახურში მუშაობის დროს მიიღეს, განათლების მიღების პარალელურად.

2.4 სამშობლოში დაბრუნების მოტივები

უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების სამშობლოში დაბრუნების მოტივაცია, სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: პირადული მოტივები, პროფესიული მოტივები და სოციალური მოტივები (Hao,Yan, Guo & Wang, 2017). სტუდენტების ოჯახი, მათი პირადული მოტივაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მათი სოციალური კავშირები, რომლებიც გულისხმობს მათ კავშირებს მეგობრებთან, ბიზნეს პარტნიორებთან და ნაცნობებთან, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია (Qin, 2011). რაც შეეხება პროფესიულ მოტივებს, უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტები, მათ მიერ უცხოეთში მიღებულ განათლებასა და გამოცდილებას, დიდ პრიორიტეტად აღიქვამენ და ხშირად აქვთ მოლოდინი, რომ სამშობლოში დაბრუნებისას, უფრო მაღალ ანაზღაურებადი სამსახურის პოვნას შეძლებენ (Le Bail and Shen, 2008). დამატებით, კვლევებზე დაყრდნობით, პატრიოტიზმიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია საზღვარგარეთ განათლება მიღებული სტუდენტების სამშობლოში დაბრუნებისა (Kellogg, 2012). კვლევების თანახმად, თავად სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება ხშირად ჯგუფური გადაწყვეტილების ხასიათს ატარებდა, სადაც უცხოეთში ყოფნისას, მოსწავლეები ჯგუფურად იღებდნენ გადაწყვეტილებას სამშობლოში დაბრუნების შესახებ (Qin, 2011).

2.5 შრომით ბაზარზე ინტეგრაციის სირთულეები

კვლევები აჩვენებს, თუ როგორ შეუძლიათ უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს, რომლებიც სამშობლოში დაბრუნდნენ, ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ადამიანური კაპიტალის გამდიდრებას, ტექნოლოგიური და სხვა ტიპის ცოდნის გადმოტანას სამშობლოში (Faist and Fauser 2011, de Haas 2007); უცხოეთში მიღებული განათლება, ასევე აძლევს მათ შესაძლებლობას, მოიპოვონ უფრო მაღალი სოციალური სტატუსი და შექმნან „ჰიბრიდული“ იდენტობები, სადაც თავს მოიყრის განსხვავებული ჩვევები და ღირებულებები (Massey et al. 1993, Cassarino 2004). უცხოეთში მიღებული განათლებას, ასევე ეხმარება უკან დაბრუნებულ სტუდენტებს ჩაერთონ პოლიტიკასა და

არასამთავრობო სექტორში და დაკავდნენ ქველმოქმედებით. ანატოლი კოსციუგი (Cosciug, 2013) იკვლევს უკან დაბრუნებული რუმინელი სტუდენტების გამოცდილებებს. როგორც ის ასკვნის, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და იდეების მიმოცვლა არ ხდება ავტომატურად, დაბრუნების შემდეგ. მაგალითისათვის, რეინტეგრაციის პროცესს აქ დიდი მნიშვნელობა აქვს. რეინტეგრაცია საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად და ეფექტურად მოხდეს ცოდნის გადაცემა მშობლიურ ქვეყანაში. რეინტეგრაცია თავის მხვრივ, დაკავშირებულია უცხოეთში ყოფნის ხანგრძლივობასთან, და მშობლიურ ქვეყანასთან არსებულ კავშირებთან. ხშირია საპირისპირო კუტურული შოკის გამოცდილება, იმ სტუდენტებში, ვინც უცხოეთში სასწავლებლად შედარებით ადრეულ ასაკში გაემგზავრა და შედარებით მეტი დრო დაჰყო საზღვარგარეთ. საპირისპირო კულტურული შოკის ასახსნელად, ალბათ უმჯობესია უპირველეს ყოვლისა განვმარტოთ კულტურული შოკი. კულტურული შოკი არის დისორიენტაცია, რომელსაც ადამიანი განიცდის, როდესაც ექცევა ისეთ გარემოში და ცხოვრების სტილში, რომელიც განსხვავდება იმ ცხოვრების სტილისგან რომელსაც ის შეჩვეულია და ნორმალურად მიიჩნევს (Bochner, 2003). უცხოთში გამგზავრებული სტუდენტი, პირველ რიგში უცხოეთში ჩასვლისას აწყდება კულტურულ შოკს. ბევრი იგივე მოვლენები და გარემოებები, რომლებიც ქმნიან სტრესს უცხო კულტურაზე ადაპტაციისას, ასევე ქმნიან სტრესს სამშობლოში დაბრუნების დროს. კრეიგ სტორტი, აღნიშნავს, რომ კულტურული შოკს და საპირისპირო კულტურული შოკს აქვთ ტენდენცია გაიმეორონ U მრუდის გადანაწილების ნიმუში (Storti, 1997). ახალ ქვეყანაში ჩასვლისას, ადამიანები განიცდიან „თაფლობის თვის“ პერიოდს, სადაც ახალი კულტურა ამაღელვებელი და სახალისოა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, აცნობიერებენ რა საკუთარ განსხვავებულობას, ადამიანები ნეგატიურ კულტურულ შოკში ვარდებიან, ენატრებათ თავისთვის ნაცნობი მშობლიური კულტურა. შემდეგ, თანდათანობით ისინი ეჩვევიან მიმღებ კულტურას, აღიარებენ მსგავსება განსხვავებებს, და ამით იბრუნებენ ფსიქოლოგიურ და ემოციურ სტაბილურობას. ზოგიერთისათვის ეს პროცესი რამოდენიმე კვირას მოითხოვს, ზოგი კი, ადაპტაციას რამოდენიმე თვეში ახდენს. მსგავსი ტენდენციები ახლავს

თან საპირისპირო კულტურულ შოკსაც. შინ დაბრუნებისას, არა მხოლოდ ადამიანის სამშობლოში არსებული საცხოვრებელი ადგილი და გარემო განსხვავდება იმ გარემოსგან, რომელსაც ადამიანი უცხოეთში ცხოვრების დროს შეეჩვია, არამედ შინ დაბრუნებულს შეიძლება ძალიან განსხვავებული საცხოვრებელი გარემო დახვდეს, ვიდრე იქამდე, სანამ საზღვარგარეთ წავიდოდა სასწავლებლად. სამშობლოში არსებული საცხოვრებელი გარემოს შესახებ წარმოდგენები, ყოველთვის როდი ემთხვევა სამშობლოში არსებულ რეალურ პირობებს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, შემდეგი პრობლემები გამოყო, რომელსაც ადამიანები საპირისპისო კულტურული შოკის განცდისას აწყდებიან:

- უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს შეიძლება მეტად სურდეთ თავიანთი გამოცდილებების და ისტორიების გაზიარება, ვიდრე სამშობლოში მყოფ ადამიანებს სურდეთ მათი მოსმენა.

- უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს შეიძლება ნაკლებად აინტერესებდეთ ის ამბები, რაც მათი არ ყოფნის დროს განვითარდა სამშობლოში, ვიდრე ამის მოყოლა სამშობლოში მყოფ ადამიანებს სურდეთ.
- უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს შეიძლება ენატრებოდეთ უცხოეთი და მასთან ასოცირებული ცხოვრების სტილი.
- უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს შეიძლება ენატრებოდეთ ის „მეფური“ მოპყრობა და სოციალური სტატუსი, რომლითაც უცხოეთში ცხოვრების დროს სარგებლობდნენ.
- უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს შეიძლება ენატრებოდეთ ის შეკრული საერთაშორისო საზოგადოება, რომლის ნაწილიც იყვნენ უცხოეთში სწავლის დროს.

საპირისპირო კულტურული შოკი, ასახვას ჰპოვებს უცხოეთიდან დაბრუნებული ქართველი სტუდენტების სამუშაო გარემოშიც. შრომის ბაზართან ადაპტაცია, როგორც წესი

ჩამოსვლიდან უმალვე არ ხდება. ჩენის (2014) წლის კვლევაზე დაყრდნობით, უცხოეთიდან დაბრუნებული ჩინელი სტუდენტები, უცხოეთში ყოფნისას სამშობლოში კარგავენ სოციალურ კაპიტალს, რომელიც მათ სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარებათ. შესაბამისად, ამ კვლევის ერთ-ერთი ჰიპოთეზაა, რომ უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებული ქართველი სტუდენტები უნდა განიცდიდნენ საპირისპირო კულტურულ შოკს საქართველოს შრომით ბაზარზე ადაპტაციისას.

დამატებით ჩაოს (2008) კვლევაზე დაყრდნობით, უცხოეთიდან დაბრუნებულ ჩინელ სტუდენტებს შეიძლება სირთულეები შეხვდეთ ეგრეთ წოდებულ „უხილავ კოლეჯში“. „უხილავი კოლეჯის“ წევრებს როგორც წესი გაზიარებული პარადიგმები აქვთ. მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ „უხილავი კოლეჯის“ წევრები შეჩვეულები არიან კოოოპერაციას არ და არიან შეჩვეული განსხვავებული აზრების გაზიარებას და წარმოთქმას, რაც შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს იმ სტუდენტებისათვის, ვინც საზღვარგარეთ მიიღო განათლება და დაბრუნდა ჩინეთში (Chen 2014, Yi, 2011). დამატებით, უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტები, რომელთაც აკადემიურ სფეროში სურთ დასაქმება, აწყებიან სირთულეებს რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩინეთში სოციალური მეცნიერებების კუთხით, ბევრი თემა დახურულია (Cao, 2008), ხოლო უნივერსიტეტის პერსონალი როდია ყოველთვის კარგად განწყობილი უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების მიმართ. არც ხელფასებია ყოველთვის ისეთი მაღალი, როგორც სტუდენტებს სამშობლოში დაბრუნებამდე წარმოუდგენიათ. ზოგიერთ ავსტრალიიდან დაბრუნებული ჩინელი სტუდენტი უკმაყოფილი იყო მათი მნიშვნელობით ჩინეთის შრომით ბაზარზე და ბევრად მწირე დასაქმების პერსპექტივით, ვიდრე მათ ეს წარმოედგინათ (Keren, Guo and Ping, 2003). სინგაპურიდან ჩინეთში დაბრუნებული სტუდენტები კი გამოხატავდნენ უკმაყოფილებას თავინთი ხელფასებით, რომლებიც მათ მოლოდინზე უფრო დაბალი იყო (Xiang and Shen, 2009). საზღვარგარეთიდან დაბრუნებული სტუდენტები ბევრი გამოწვევების წინაშე იმყოფებიან. დაძაბული გარემო, მაღალი მოლოდინები საკუთარი

თავისგან და დაბრუნებასთან ასოცირებული ადაპტაცია, შინ დაბრუნებულ სტუდენტებში სტრესის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი გარემოა (Chen, 2014; Gill, 2010). ერთის მხვრივ, დამსაქმებლისათვის პრიორიტეტად ითვლება უცხოეთში განათლება მიღებული ადამიანის უცხო ენების კარგად ცოდნა, მათი გლობალური ხედვები და საერთაშორისო სოციალური კონტაქტები (Gu and Schweisfurth, 2015; Welch and Hao, 2013; Yi, 2011). მეორეს მხვრივ, ლოკალური ბაზრის და მისი მოთხოვნების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის ქონა, დამსაქმებლის გადმოსახედიდან, უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტების ყველაზე სუსტი მხარეა (Yi, 2011). სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით, უცხოეთიდან დაბრუნებულ სტუდენტებს სამსახურის შოვნა არ გასჭირვებიათ (Guo, 2016; Zweig and Han, 2010), თუმცა ბევრ უკანდაბრუნებულ სტუდენტს დასჭირდა თავის მოლოდინებთან დაკავშირებული თამასის დაწევა (Zweig and Han, 2010). შესაბამისად, როდესაც განიხილება უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტების დასაქმების თემა, მხოლოდ მათ დასაქმების სტატუსი არ არის მნიშვნელოვანი, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მათი მოლოდინებისა და რეალობის შესაბამისობას. აღსაღნიშნავია, რომ მოიუხდავად იმისა, რომ საქართველოში არ ჩატარებულა სუბსტანციური კვლევა კონკრეტულად იმასთან დაკავშირებით, თუ რა სირთულეებს შეიძლება წააწყდნენ უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტები, მირიან თუხაშვილის (2013) კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში დაბრუნებული შრომითი მიგრანტების უმეტესობა არ არის დასაქმებული, ან დისკრიმინაციულ პირობებში მუშაობს, რომელიც არ შეესაბაება მათ სამუშაო გამოცდილებასა და განათლებას. როგორც კვლევა ასკვნის, უკან დაბრუნებული მიგრანტების უმეტესობა, ახლო მომავალში კვლავ იძულებული გახდება დაუბრუნდეს ემიგრაციას.

3. კვლევის მეთოდი

აღნიშნული თვისებრივი კვლევა, ახსნით ხასიათს ატარებს. კვლევის მეთოდად გამოყენებულია **ჯგუფური ინტერვიუები**. შესაბამისად გამოყენებულია პირველადი მონაცემები, რომლებიც შეგროვდა ნახევრად ბუნებრივი მდგომარეობაში. ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად, გამოყენებული იყო არაალბათური შერჩევის ტიპი, კერძოდ კი - მიზნობრივი შერჩევა, სადაც მონაწილეები აირჩნენ რამოდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: სქესი, განათლების ხარისხი და განათლების მიმართულება, შესაბამისად წინასწარ იყო განსაზღვრული სამიზნე ჯგუფების სტრუქტურა.

როგორც რიანო და პიგეტი (2016) განმარტავენ, საერთაშორისო მობილური სტუდენტები იყოფიან ორ ჯგუფად, ისინი, ვინც უცხოეთში ხარისხის მოსაპოვებლად გაემგზავრნენ (მობილობა ხარისხის მოსაპოვებლად) და ისინი ვინც უცხოეთში მოკლე ვადით, კონკრეტული საგნის სწავლის ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაემგზავრნენ (მობილობა კრედიტის მოსაპოვებლად). აღნიშნული კვლევა დაინტერესებულია პირველი კატეგორიის სტუდენტებით, ანუ იმ კატეგორიით, ვინც ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი უცხოეთში მოიპოვა. დამატებით, ჩავთვალეთ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ჯგუფები დაგვეყო სქესობრივი მახასიათებლის მიხედვით, რადგან საქართველოში ხელფასებში განსვავება გენდერული ნიშნით, საკმაოდ თვალშისაცემია. თუ საქსტატის მონაცემებით, მამაკაცების საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში 1200 ლარია, ქალბატონების საშუალო თვიური ხელფასი 770 ლარს წარმოადგენს. შესაბამისად, საინტერესოა გენდერული ნიშნით თუ იქნებოდა რაიმე განსხვავებები საქართველოს შრომით ბაზართან ინტეგრაციის კუთხით. და ბოლოს, ასევე საინტერესო იყო, საკონტროლო ცვლადად გამოგვეყენებინა განათლების მიმართულება, რათა გვენახა კონკეტული სფეროს მიხედვით თუ იკვეთებოდა უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების საქართველოს შრომით ბაზარზე ინტეგრაციის მნიშვნელოვნად განსხვავებული გამოცდილებები. იურიდული მიმართულებებისათვის გაკეთდა გამონაკლისი, სადაც როგორც ქალების ასევე კაცების

ფოკუს ჯგუფები მოიცავდა მაგისტრატურა დამთავრებულ ინდივიდებს, გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკაში ბაკალავრებს სამართლის ხარისხს არ ანიჭებენ, არამედ „წინასწარი-იურიდიულის“ ხარისხს, გადავწყვიტე, რომ იურიდიულის შემთხვევაში ორივე სქესის ჯგუფი მაგისტრებისაგან ყოფილიყო შედგენილი. შერჩევის მატრიცა, მოცემულია ქვემოთ.

ჯგუფი	სქესი	განათლების ხარისხი	განათლების მიმართულება
1	ქალი	ბაკალავრი	STEM
2	კაცი	მაგისტრი	STEM
3	ქალი	მაგისტრი	იურიდიული
4	კაცი	მაგისტრი	იურიდიული
5	ქალი	მაგისტრი	ჰუმანიტარული
6	კაცი	ბაკალავრი	ჰუმანიტარული
7	ქალი	ბაკალავრი	ბიზნესი და ეკონომიკა
8	კაცი	მაგისტრი	ბიზნესი და ეკონომიკა

რესპონდენტებს განათლება 2005 წლის შემდეგ უნდა ჰქონოდათ მიღებული, რადგან სწორედ 2005 წელს შეუერთდა საქართველო ბოლონიის პროცესს, რომელიც ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესს მოიაზრებს. დამატებით, ჯგუფის წევრებს განათლება ევროპის ან ამერიკის უნივერსიტეტებში უნდა ჰქონოდათ მიღებული, რადგან ეს გეოგრაფიული მიმართულებია საქართველოში ყველაზე პოპულარული განათლების მისაღებად.

რესპონდენტების შესარჩევად, გამოვიყენე თოვლისგუნდას პრინციპი. დავუკავშირდი ამერიკული აკადემიის ადმინისტრაციას, დავწერე კვლევის შესახებ ამერიკული აკადემიის კრუსდამთავრებულთა ჯგუფში, მივწერე ყველა ადამიანს ვისაც ვიცნობდი და ვიცოდი, რომ

ქვემოთ აღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა და ვკითხე სხვებსაც თუ იცნობდნენ ვინმეს მსგავსი დემოგრაფიული მახასიათებლებით. დამატებით, დავეკონტაქტე განათლების საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაციას, მათი კურსდამთავრებულთა ასოციაციის პრეზიდენტს, დავწერე მათ Facebook გვერდზე, განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული კურსდამთავრების სიის მიხედვით ვიპოვე სტუდენტები Facebook-ში და ყველას ინდივიდუალურად მივწერე. შედეგად, სულ ჩატარდა 8 ჯგუფური ინტერვიუ, თითოეულში საშუალოდ 3 რესპონდენტი მონაწილეობდა და დისკუსიის საშუალო ხანგრძლივობამ, 1 საათი და 40 წუთი შეადგინა. ჯგუფური ინტერვიუები ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით ჩატარდა, რომელიც დაყოფილი იყო ოთხ ძირითად სექციად: 1. უცხოეთში სწავლის მოტივები 2. უცხოეთში მიღებული გამოცდილება 3. სამშობლოში დაბრუნების მოტივები და 4. ინტეგრაცია საქართველოს შრომით ბაზართან. ჯგუფური ინტერვიუები 2019 წლის 3 დან - 25 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა. ფოკუსური დისკუსია სამუშაო საათების შემდეგ ან შაბათ-კვირას იმართებოდა, რადგან რესპონდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური რესპონდენტების უმრავლესობამ, ვისაც კვლევაში მონაწილეობა შევთავაზე დიდი ინტერესი გამოხატა კვლევაში მონაწილეობაზე, ბევრმა მსურველმა ვერ შესძლო კვლევაში მონაწილეობა უდროობის გამო (მათ შორის ვერც შაბათ-კვირას).

ჯამში, კვლევაში მონაწილეობა 22-მა ადამიანმა მიიღო, რომელთაც მსოფლიოს 17 სხვადასხვა უნივერსიტეტში მიიღეს განათლება და ამ უნივერსიტეტებს შორის ისეთი ცნობილი უნივერსიტეტებიცაა როგორიცაა: ოქსფორდის და პრინსტონის უნივერსიტეტები. რაც შეეხება თავად ამ უნივერსიტეტების გეოგრაფიულ განაწილებას, 10 რესპონდენტს განათლების ხარისხი ამერიკაში აქვს მოპოვებული, 11 რესპონდენტს ევროპაში, ხოლო 1 რესპონდენტს- ლათინურ ამერიკაში.

დამატებით, იმისათვის, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო არა მხოლოდ უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების გამოცდილება, არამედ იმ ინსტიტუტებისაც, რომლებიც სტუდენტების საზღვარგარეთ წასვლას უწყობენ ხელს, ჩატარდა ორი ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელთა საშუალო ხანგრძლივობამაც 40 წუთი შეადგინა. ერთი ინტერვიუ ჩატარდა განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორთან, ნინო ჭელიძესთან. განათლების საერთაშორისო ცენტრი დაარსდა 2014 წელს და 2014-18 წლებში 650 სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის სურვილის მქონე საქართველოს მოქალაქეებზე. ცენტრის მიზანია, სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. მეორე ინტერვიუ, კი თბილისის გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის პედაგოგთან ჩატარდა, რომელიც სტუდენტების მრჩეველი და კურატორია უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიმართულებით. ინტერვიუები ნახევრად სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატის გამოყენებით განხორციელდა.

4. კვლევის შედეგები

4.1 ზოგადი რეზიუმე

ჯგუფური ინტერვიუების პრაქტიკულად ყველა მონაწილე დასაქმებულია. მხოლოდ ორი რესპონდენტი არ არის დასაქმებული, ისიც იმიტომ, რომ დღეს თავისი პროფილით აგრძელებენ სწავლას საქართველოში და, ამ ეტაპზე, არ ეძებენ სამსახურს. უმრავლესობა ასევე დასაქმებულია საკუთარი განათლების შესაბამისი პროფილით და ძირითადად დასაქმებულია საშუალო რგოლის მენეჯმენტის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეოსობას საქართველოში დაბრუნებისას, ბევრად უკეთესი მოლოდინები ჰქონდა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული ადაპტაციის პერიოდის გავლის შემდეგ, რესპონდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია თავისი სამუშაო პოზიციით.

უცხოეთში განათლების მიღების ძირითად მოტივებად გამოიკვეთა უკეთესი ხარისხის განათლების მიღების სურვილი, და, ასევე, უცხოეთში წასვლის სურვილი, სადაც რესპონდენტებს საშუალება ექნებოდათ დარჩენილიყვნენ საკუთარ თავთან მარტო და მეტად შეემეცნათ როგორც საკუთარი თავი, ასევე უცხო ქვეყანა. მაგისტრატურაზე სასწავლებლად წასული სტუდენტების უმრავლესობას, გათვითცნობიერებული ჰქონდა თუ რა დარგს უნდოდათ რომ დაუფლებოდნენ და მეტ-ნაკლებათ ჰქონდათ წარმოდგენა, თუ რა ხდებოდა საქართველოს შრომით ბაზარზე მათი განათლების დარგის მიმართულებით, თუმცა, არ იყვნენ იმდენად ჩახედულები, როგორებიც ახლა არიან. ბაკალავრების უმეტესობას უცხოეთში გამგზავრებამდე, არც კი ჰქონდა შერჩეული, თუ რომელ დარგში დაეუფლებოდნენ განათლებას, და შესაბამისად არც დარგის შესაბამის დასაქმების სფეროებზე ჰქონიათ წარმოდგენა საქართველოში. დამატებით, ბევრმა ბაკალავრიატ დამთავრებულმა აღნიშნა, რომ უცხოეთში წასვლის წინ, მათ დიდად არც უფიქრიათ იმ საკითხზე, თუ მომავალში სად შეიძლება დასაქმებულიყვნენ საქართველოში, რადგან იმ დროს მათი პრიორიტეტი საქართველოდან გაღწევა და კარგ უნივერსიტეტში დაფინანსების მოპოვება იყო. უცხოეთში ბაკალავრიატ დამთავრებული სტუდენტების უმრავლესობა აქტიურად იყო ჩართული კლასგარეშე აქტივობებში, და თავისი განათლების შესაბამისი სტაჟირებაც გაიარა. მაგისტრების შემთხვევაში, რესპონდენტთა უმრავლესობამ მცირე დროის გამო ვერ შესძლო სწავლის პარალელურად სტაჟირების გავლა ან კლასგარეშე სტუდენტურ აქტივობებში ჩართვა. რესპონდენტთა უმრავლესობისათვის, სამშობლოში დაბრუნების მთავარი მოტივი, მიმღებ ქვეყანაში გრძელვადიანი სამუშაო ვიზის გაკეთების პრობლემა იყო. თითქმის არავის უხსენებია სამშობლოს, ოჯახის წევრებისა და ახლობლების მონატრება როგორც სამშობლოში დაბრუნების მოტივაცია. საქართველოში დაბრუნებისას, რესპონდეტების ნაწილს ბევრი წინაღობა შეხვდა სამსახურის დასაწყებად, თუმცა, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მათი უმრავლესობა მაინც დასაქმებულია მათთვის საინტერესო სფეროში და საკმაოდ კმაყოფილია თავისი სამსახურით. უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მიღებული

ხარისხის მიხედვით (ბაკალავრი და მაგისტრი) და კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიღებული განათლების მიმართულების მიხედვით (STEM, იურიდიული, ჰუმანიტარული და ბიზნესი და ეკონომიკა). სქესის მიხედვით, არ იყო დიდი განსხვავება უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების გამოცდილებებს შორის. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა იურისტების მაგალითზე, სადაც იურისტი ქალების და კაცების ჯგუფშიც, მაგისტრატურა დამთავრებულები იყვნენ. მნიშვნელოვანი განსხვავება არც იმ ქვეყნების მიხედვით დაფიქსირებულა, სადაც სტუდენტებმა მიიღეს განათლება. ევროპასა და ამერიკაში დამთავრებული სტუდენტების გამოცდილება, საკმაოდ მსგავსი იყო.

რომ შევაჯამოთ, უცხოეთიდან დაბრუნებული ქართელი სტუდენტები, სამშობლოში დაბრუნებისას, რიგ სირთულეებს აწყდებიან შრომით ბაზართან ინტეგრაციის პროცესში: ისინი განიცდიან კულტურულ შოკს, რადგან შეჩვეულები არიან სხვა სტანდარტებსა და მოთხოვნებს შრომით ბაზარზე. დამატებით, უცხოეთში გატარებული წლების გამო, სამშობლოში დაბრუნებულები განიცდიან სოციალური კაპიტალის ნაკლებობას, რაც მათ ხშირად არასახარბიელო სიტუაციაში აყენებს. დროთა განმავლობაში, უმრავლესობა ახერხებს საქართველოს შრომით ბაზართან ადაპტაციას, თუმცა ხშირად ამისთვის თამასის დაწევა უხდებათ. შესაბამისად, საბოლოო ჯამში, საქართველო მნიშვნელოვან სარგებელს იმკის უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების დაბრუნებით საქართველოს შრომით ბაზარზე, თუმცა ეს სარგებელი შეიძლება ბევრად უფრო ეფექტურიც იყოს, სწორი რეფორმების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც რეკომენდაციების სახითაა მოცემული ამ თავის ბოლოს.

4.2 უცხოეთში განათლების მიღების მოტივები

უცხოეთში წასვლის მოტივები, საკმაოდ განსხვავდებოდა ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხის მიხედვით. საუბრის შესავალში რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა, თუ რამ განაპირობა მათი უცხოეთში წასვლის სურვილი.

ბაკალავრიატის დონეზე, უცხოეთში წასვლის სამი ძირითადი მიზეზი გამოვლინდა: 1) უცხო ქვეყანაში ცხოვრების სურვილი, რომელიც ასოცირებულია ახალ გამოცდილებებთან, ოჯახისგან დამოუკიდებლად ცხოვრებასთან და საკუთარი თავის უკეთ შემეცნებასთან. 2) სოციალური გარემო და წნეხი, სადაც რესპონდენტების გარშემო ბევრი ადამიანი მიდიოდა საზღვარგარეთ სასწავლებლად და 3) ეკრანიდან დანახული უცხოეთი, რომლის ნაწილად გახდომის სურვილი ბევრ რესპონდენტს ჰქონდა.

პირველი მიზეზი, საკმაოდ გავრცელებული იყო, ბაკალავრებში, განსაკუთრებით კი ქალებში. როგორც ერთ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

„ მე ვიცოდი რომ ჩემთვის საუკეთესი იქნებოდა წავსულიყავი საზღვაგარეთ. არამარტო განათლების მხვრივ, არამედ პირადი განვითარების მხვრივ...ძალიან დიდი წინააღმდეგობა მქონდა, არ უნდოდათ ჩემებს რომ წავსულიყავი და ანუ ეს ბარიერი იყო, თან იმ ასაკში მითუმეტეს ბარიერი ბარიერია და გინდა რომ გადალახო და ... ამან და ჩემმა რაღაც პროტესტებმა აზარტში ჩამაგდო, რომ აი გოგო ხარ და მარტო უნდა იცხოვრო, არ მსიამოვნებდა ის, რომ მე ვერ აღმიქვამდნენ როგორც დამოუკიდებელ არსებას და აღმიქვამდნენ როგორც დამოკიდებულს. შესაბამისად გადავწყვიტე დამემტკიცებინა, რომ ვარ დამოუკიდებელი ადამიანი“ ქალი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

შესაბამისად, უცხოეთში სწავლის გაგრძელება, არამხოლოდ უკეთეს განათლებასთან, არამედ კულტურის შეცვლასთან, და დამოუკიდებელად ცხოვრების სურვილთანაც ასოცირდება. არამხოლოდ ქალებს, არამედ კაცებსაც ჰქონდათ მსგავსი განცდა, რომ ახალი

ქვეყანა და ახალი კულტურა, ახალ გამოცდილებებთან და გამოწვევებთან იქნებოდა დაკავშირებული.

„მე-9 კლასიდან, როდესაც გადმოვედი ამერიკულ აკადემიაში, ვიცოდი რომ ამერიკაში მინდოდა წასვლა. მიზეზი არ ვიცოდი, უბრალოდ ყველას ჩემს გარშემო უნდოდა და მეც მინდოდა. რომ გადმოვედი ამერიკულში, გამიფართოვდა წარმოდგენა, რომ მსოფლიო ბევრად უფრო დიდია, და ჩემი შესაძლებლობებიც უფრო დიდი არის და მინდოდა რომ გამომეყენებინა" ბიჭი, ბაკალავრი, ჰუმანიტარული.

ერთ-ერთი რესპონენტის აზრით, კულტურული განსხვავებებისა და დამოუკიდებლად ცხოვრების განცდა, განაკუთრებით თბილისელ სტუდენტებს აკლიათ და ჭირდებათ, რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებთან შედარებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თბილისში დამოუკიდებლად ცხოვრობენ, ზრდასრულ ცხოვრებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს აწყდებიან და ამით მეტ გამოცდილებას იღებენ.

იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად დიდი გავლენა ჰქონდა უცხოეთში წასვლის სურვილს ახალი კულტურული გამოცდილებების მისაღებად, რესპოდენტებს დაესვათ შეკითხვა, იგივე უნივერსიტეტი, რომელიც მათ დაამთავრეს, რომ საქართველოში ყოფილიყო, და აბსოლუტურად იგივე პირობები ჰქონოდათ, ინფრასტრუქტურიდან დაწყებული აკადემიური პერსონალით დამთავრებული, მიიღებდნენ თუ არა უცხოეთში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას. პრაქტიკულად ყველა ბაკალავრმა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი, ისინი ამჯობინებდნენ უცხოეთში წასვლას.

„მე წავიდოდი მაინც აუცილებლად. მქონდა სურვილი მარტო ცხოვრებისა, გარემოს შეცვლა მნიშველოვანი იყო, როდესაც დავამთავრე სკოლა. ამიტომ, მაინც წავიდოდი" ბაკალავრი, ქალი, ბიზნესი და ეკონომიკა.

ასევე, ეკრანიდან დანახული და სხვების მიერ მოყოლილი უცხოეთი, ბევრი სტუდენტისათვის მიმზიდველად ჟღერდა, და ზოგიერთი რესპონდენტისათვის, უცხოეთში სწავლის გაგრძელების სურვილის განმაპირობებელიც იყო.

„მე რაც თავი მახსოვს სულ მინდოდა უცხოეთში წასვლა და იქ სწავლა. და ეს ყველაფერი განპირობებული იყო , ალბათ მაინც, აი ჩავთვლი რომ ტელევზორიდან. იმიტომ, რომ იქ აი რაღაცა სულ სხვა ისაა, და საქართველოში სულ სხვანაირი სტუდენტებია, და მე რომ ვუყურებდი, ტელევიზორში რასაც ვხედავდი, ვხვდებოდი რომ ის უფრო ჩემი იყო. ფილმებიც და ნიუსებიც და ყველაფერი, ინფორმაციის ნებისმიერი წყარო რომ ავიღოთ, მომცა ის მიზანი, რომ უცხოეთში წავსულიყავი. „ კაცი, ბაკალავრი, ჰუმანიტარული.

მხოლოდ მას შემდეგ რაც რესპონდნეტებს კონკრეტულად დაესვათ შეკითხვა, ჰქონდათ თუ არა მოლოდინი, რომ უცხოეთში მიღებული განათლება მომავალში მისცემდათ საშუალებას უფრო მარტივად და მაღალი ანაზღაურებით დასაქმებულიყვნენ, თითქმის ყველა რესპონდენტმა დადებითად უპასუხა.

„რაღაცნაირად მოდიოდა ეგ მუხტი, რომ საზღვარგარეთ განათლება მიღებულები კარგად საქმდებიან საქართველოში. უკეთესი ანაზღაურება, რაღაცა ისა ესა. ანუ პოზიტივი ასოცირედებოდა მაგ ყველაფერთან, პრობლემები ნაკლებად.„ ბაკალავრი, ქალი, STEM.

რაც შეეხებათ მაგისტრატურა დამთავრებულებს, მათთვის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი უკეთესი განათლების მიღება და მომავალში უკეთესი დასაქმების პერსპექტივა იყო, თუმცა ისინიც აღიარებდნენ რომ გარემოს შეცვლა და ახალ კულტურასთან ზიარება, მათთვისაც ძალიან მიმზიდველი იყო.

„ოქსფორდი და კემბრიჯი ისეთია, ბრენდია, სახელია და სულ რომ არაფერი არ ისწავლო, და უბრალოდ იქ იყო, ეგეც ძალიან მაგარია და მოტივაციაა. კულტურა და გარეთ გასვლა, ალბათ იყო, მაგრამ ალბათ ეგ არ იყო მთავარი, ერთ-ერთი მნშიშვნელოვანი კი. მთავარი ის იყო, რომ სწავლის გაგრძელება მინდოდა და ძალიან თვალნათვლის ვხედავდი, რომ რაღაცა

აშკარად შეუსაბამო იყო ჩვენი მაგისტრატურები იქაურ მაგისტრატურებთან, დონე იყო დაბალი“. კაცი, მაგისტრი, STEM.

არა მხოლოდ, STEM -ის მიმართულებით, არამედ იურისტებშიც საკმაოდ გავრცელებული იყო აზრი, რომ უცხოეთში უკეთესი განათლებაა რომელიც მომავალში უკეთესი დასაქმების პერსპექტივას იძლევა, თუმცა ეს აზრი არა მხოლოდ მათგან, არამედ მათი მშობლებიდანაც მომდინარეობდა.

„ ძირითადად ჩვენი მშობლების მოტივაცია უფრო იყო... ჩადე ბავშვში ინვესტიცია, წავა, ისწავლის, ჩამოვა, მასტერი აქვს დამთავრებული და შემოახტება არ ვიცი რაღაც მენეჯმენტულ პოზიციას და იქნება წარმატებული“. კაცი, მაგისტრი, იურიდიული.

ერთ-ერთი იურიდიულის მაგისტრატურა დამთავრებული ქალი იმასაც აღნიშნავს, რომ უცხოეთში სწავლის გაგრძელების სურვილი, სხვა მიზეზებთან ერთად იმიტომაც გაუჩნდა, რომ შეხება ჰქონდა უცხოეთში განათლება მიღებულ ადამიანებთან და ძალიან ხიბლავდა მათი მიდგომები და დამოკიდებულება საქმის მიმართ. მისი თქმით, ეს კარგად ჩანდა უნივერსიტეტშიც, სადაც ის დიდ განსხვავებას ხედავდა იმ პედაგოგების მიდგომებს შორის ვინც განათლება საქართველოში მიიღო და იმ პედაგოგებს შორის, რომელთაც განათლება საზღვარგარეთ ჰქონდათ მიღებული.

„ზოგადად ჩემთან ოჯახში დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ განათლებას და სულ უნდოდათ რომ მესწავლა საზღვარგარეთ. ამასთანავე, ჩემმა მეგობრებმა, ბაკალავრიატის საფეხური გააკეთეს უცხოეთში, სკოლის მერე პირდაპირ წავიდნენ და ესეც რაღაც მაგალითივით მქონდა. და ალბათ კიდევ იმიტომ, რომ მაგალითად როდესაც დავიწყე პირველად სტაჟირებების გაკეთება, ვიყავი ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანზიაციაში რომელიც მუშაობდა სტრასბურგის ქეისებზე და ადამიანის უფლებებზე, და იქ როდესაც ვხედავდი იმ ადამიანებს, რომლებსაც განათლება მიღებული ჰქონდათ საზღვარგარეთ, სულ განსხვავებული აზროვნების სტილი ჰქონდათ და სხვანაირი მიდგომები. ეს ძალიან კარგად

ჩანდა ლექტორებზეც, მაგალითად ბაკალავრის საფეხურზე, რომ აგეღო ლექტორი, ორივე შეიძლება პროფესიონალი ყოფილიყო, შეიძლება ხარისხიც ერთ ლექტორს დოქტურანტურა ჰქონოდა და მეორეს მხოლოდ მაგისტრატურა, მაგრამ განათლება მიღებული ჰქონდა საზღვარგარეთ. იმდენად რადიკალური განსხვავება იყო მათ შორის, რომ რეალურად თვითონ სტუდენტი პრაქტიკაში ხედავ, თუ რას გაძლევს შენ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა". ქალი, მაგისტრი, იურიდიული.

ბიზნესის მაგისტრი რესპონდენტების უმრავლესობა, უკვე მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული და ფეხზე იყო დამდგარი ბიზნეს სფეროში, შესაბამისად მათი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად, პრესტიჟი და უცხოურ დიპლომთან ასოცირებული მეტი სანდოობა და პატივისცემა იყო. დამატებით, მათი თქმით, უცხო გარემო მათ მისცემდათ საშუალებას შეძინათ მეტი უცხოელი მეგობრები, რომელთაც ასევე ბიზნესის კუთხით ჰქონდათ ინტერესი და მომავალში მათთანაც ეთანამშრომლათ, ბიზნეს წინადადებების კუთხით.

რომ შევაჯამოთ, ყველა მიმართულებაში და ყველა ხარისხში, იქნება ეს მაგისტრი თუ ბაკალავრი, უცხოეთში სწავლის გაგრძელების ძირითად მოტივებად იკვეთება: 1. გარემოს შეცვლის, თავგადასავლების, ახალ კულტურასთან გაცნობის სურვილი 2. უკეთესი ხარისხის განათლების მიღების სურვილი 3.ოჯახის სურვილი „ბავშვმა" განათლება უცხოეთში მიიღოს, რათა მომავალში მეტი დასაქმების პერსპექტივა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზეზები საზიარო იყო როგორც მაგისტრებისთის, ისე ბაკალავრებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ ბაკალავრებისთვის უფრო პრიორიტეტული იყო უცხოეთში წასვლის და ახალ კულტურასთან შერწყმის სურვილი, ხოლო მაგისტრების შემთხვევაში, ისინი მეტ ყურადრებას აქცევდნენ უცხოეთში სწავლების ხარისხს და მომავალში მათი ამ უფრო მაღალი ხარისხით დასაქმების პერსპექტივას.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონენტების უმრავლესობას, მოლოდინი ჰქონდა, რომ უცხოეთში განათლების მიღების შემდეგ, მათ ექნებოდათ პრიორიტეტი საქართველოს

შრომით ბაზარზე, არც თუ ისე ბევრი რესპონდენტი იყო კარგად გათვითცნობიერებული საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობით უცხოეთში წასვლამდე. მეტიც, ბაკალავრების შემთხვევაში, ბევრმა არც იცოდა, თუ რა მიმართულებით უნდა მიეღო განათლება. რეპსონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტების არჩევის და უნივერსიტეტებში აპლიკაციების გაგზავნის დროს, აკადემიური მრჩევლები მეტად ეხმარებოდნენ უნივერსიტეტების მოძიებასა და აპლიკაციების შევსებაში და ნაკლებად ან საერთოდ არ განიხილავდნენ აპლიკანტისათვის სასურველ პროფესიას. არც იმას ურჩევდნენ, თუ რომელი სფეროში განათლების შეიძლება ყოფილიყო უფრო სასარგებლო, მომავალში საქართველოში დასაქმების პერსპექტივით.

„უფრო უნივერსიტეტებზე იყო საუბარი, ნამდვილად არ მახსოვს, რომ ჩემს პროფესიაზე, ან ჩემი პროფესიის მომავალ პერსპექტივაზე ყოფილიყო საუბარი“. ქალი, ბაკალავრი, ბიზნესი და ეკონომიკა.

რამდენიმე რესპონდენტის აზრით, განსაკუთრებით ბაკალავრების, ბაკალავრიატის დონეზე, ადამიანი ძალიან პატარაა, იმისათვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რა პროფესიით გააგძელოს სწავლა და ამასთან, ისიც ჰქონდეს გათვითცნობიერებული, თუ რომელი პროფესიაა ყველაზე უკეთესი საქართველოში, და მეტიც, რომ ის აკეთებდეს გათვლას მომავალზე, და ფიქრობდეს თუ რამოდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ის დაამთავრებს უნივერსიტეტს, რომელი პროფესია იქნება ყველაზე მოთხოვნადი და მაღალ ანაზღაურებადი შრომით ბაზარზე. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ამ ასაკში ბავშვი სერიოზულ წნეხს განიცდის და სრულებით არ არის აუცლებელი, რომ ახალგაზრდებმა სკოლის დამთავრების შემდეგ უმალვე ჩააბარონ უნივერსიტეტში.

„რა თქმა უნდა სწავლაში ინვესტიცია ყველაზე დიდი რაღაცა არის, მაგრამ პრინციპში ცოტა რისერჩი რომ გააკეთო სანამ რაღაცა პროფესიას აირჩევ, ეხლანდელი გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, ბევრად კარგია, მაგრამ 16 წლისას როცა გიწევს რომ აირჩიო პროფესია არის

სრული სისულელე, იქიდან გამომდინარე, რომ 16 წლის ადამიანს.... „ მაგისტრი, კაცი, იურიდიული.

მსგავსი პრობლემის თავდიან ასაცილებლად, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიის (GZAAT) საუნივერსიტეტო ორიენტაციის მრჩველის თქმით, აღნიშნულ სკოლაში განხორციელდა რეფორმები, სადაც ამერიკული აკადემია იყენებს პროგრამას, რომელიც ბავშვს მე-10 კლასიდან აძლევს საშუალებას, გააკეთოს ფსოქოლოგიური ტესტები, რომლებიც დაეხმარება გაიგოს, თუ რომელი სფერო შეიძლება იყოს მისთვის საინტერესო.

„პრობლემა არის ის, რომ მოსწავლეებმა ზოგჯერ არ იციან, რომ არსებობს სხვადასხვა პროფესიები... ამისთვის, გვაქვს ბაზა, სადაც არის ეს ნაწილი, კარიერული ორიენტაცია, ძალიან კარგი. იქ რაღაც ტესტებს ავსებენ, რომლებიც გეუბნება რომ ეს სფეროები შეიძება იყოს შენთვის საინტერესო, ან შენ ამაში შეიძლება იყო ძლიერი. რაღაცა რეკომნდაციებია. და ზოგადად ეცნობიან რა პროფესიები არსებობს. მერე, დავუშვათ აი რა უნდა ვაკეთო მე ამით? იქ არის ძალიან კარგი მონაცემები, რომ ამ პროფესიის ადამიანები რომელ კომპანიებში არიან დასაქმებულები. აჩვენებს , რომ ამ პროფესიის ადამიანი მუშაობს აქ, აქ, აქ და დასაწყისი ხელფასი რა შეიძლება ჰქონდეს, ოღონდ ეს ხელფასი ამერიკაზეა მორგებული“ GZAAT -ს წარმომადგენელი

დამატებით, მე-10 კლასში, მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, შეისწავლონ თუ რას აკეთებს რაიმე სფეროს წარმომადგენელი ადამიანი, მაგალითად პოლიციელი. ყველა სტუდენტი სხვადასხვა პროფესიის ადამიანის საქმიანობას შეისწავლის და შემდეგ მოსწავლეები პრეზენტაციის სახით ამ ყველაფერს ერთმანეთს უზიარებენ. დამატებით, GZAAT -ის წარმომადგენელი იმაზეც გვესაუბრა, რომ სკოლაში მომავალი წლიდან იგეგმება „პროფესიული ბაზრობის“ ჩატარება, რაც გულისხმობს იმას, რომ სკოლის მოსწავლეებს ექნებათ სტენდები, და თამაშის პრინციპით განასახიერებენ რომელი კონკრეტულ სფეროში დასაქმებულ ადამიანს. მოსწავლეებს თავიანთი თანაკლასელების ნახვაც შეეძლებათ, რაც

ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლას არსებულ პროფესიებთან დაკავშირებით. დამატებით, ასევე იგეგმება ამ „ბაზრობაში“ კურსდამთავრებულთა ჩართვაც, ვინც განათლება უცხოეთში მიიღო და დღეს საქართველოში დაბრუნდა, რათა მათაც გაუზიარონ მოსწავლეებს თავიანთ სფეროსთან დაკავშირებული გამოწვევები და დადებითი მხარეები. ასევე, იგეგმება კურსდამთავრებულების მიერ ვიდეოების ჩაწერა, სადაც ისინი ისაუბრებენ თავიანთ გამოცდილებაზე უცხოეთში, თავიანთ პროფესიაზე და იმაზე, თუ რაში იყენებენ ამ პროფესიას და როგორია მათი დასაქმების მდგომარეობა იმ პროფსიის მიხედვით რაც აირჩიეს. მსგავსი ვიდეოები მისცემენ ბავშვს საშუალებას, იმ შემთხევავშიც კი, თუ მათ კონკრეტულ დროს არ შეუძლიათ ფიზიკურად დაესწრონ კურსდამთავრებულთან შეხვედრას, მათთვის მოსახერხებელ დროს ნახონ ეს ვიდეოები. ამერიკული აკადემიის საუნივერსიტეტო ორიენტაციის მრჩევლის თქმით, ისინი აქტიურად ადევნებენ თვალს მსოფლიო ტრენდებს, თუ რომელი პროფესიებია მოთხოვნადი საერთაშორისო ბაზარზე და რომელი პროფესიები შიძლება გახდეს უფრო აქტუალური მომავალში.

„ჩვენ რომ ვუყურებთ რა უნდა აკეთო, ვუყურებთ ზოგადად უფრო გლობალურად. მარტო ეხლა ამ დროს საქართველო რა სჭირდება, კი გასაგებია, მაგრამ უფრო მეტად ვუყურებთ გლობალურ ტენდენციებს. მაგალითად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშები, რომელი პროფესიებია საჭირო, რა უნარ ჩვევა იყო უფრო მნიშვნელოვანი და დავუშვათ 2020 წლისთვის რა უნარ-ჩვევაა უფრო მნიშვნელოვანი“. GZAAT -ს წარმომადგენელი.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ ინსტიტუტებიც და ამ შემთხვევაში ამერიკული აკადემია, ხედავენ, რომ ზოგჯერ ბაზრის მოთხოვნამ და აქტუალურად მოთხოვნილმა უნარ-ჩვევებმა უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ბავშვისათვის პროფესიის შერჩევაში, და დამატებითად ბავშვი გათვითცნობიერებული უნდა იყოს, თუ რა ტიპის სამუშაოს შეიძლება ელოდებოდეს თავისი პროფესიიდან გამომდინარე, შესაბამისად GZAAT, როგორც ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს უცხოეთში განათლების მიღებაში, აქტიურ ნაბიჯებს დგამს

იმისათვის, რომ სტუდენტები მაქსიმალურად გათვითცნობიერებულები იყვნენ თავიანთ მომავალ პროფესიაში.

ამერიკული აკადემიის საუნივერსიტეტო ორიენტაციის მრჩეველის თქმით, როდესაც სტუდენტები ირჩევენ თუ სად წავიდნენ სასწავლებლად და სად მიიღონ განათლება, აქ თავად ქვეყანა და ქალაქი, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. განსაკუთრებით ამერიკის შემთხვევაში, მისი დაკვირვებით მომრავლდა შემთხვევები, როდესაც სტუდენტები მიემგზავრებიან სასწავლებლად, მაგრამ რამოდენიმე კურსის მერე ანებებენ სწავლას, რადგან არ მოსწონთ ფიზიკურად ის ადგილი სადაც სწავლობდნენ. ასეთი შეიძლება იყოს ამერიკაში, სადაც ბევრი უნივერსიტეტი მიყრუებულ სოფელშია განთავსებული, და GZAAT წარმომადგენლის თქმით, ბევრი საქართველოდან წასული ახალგაზრდა ვერ ეჩვევა ასეთ სოფელში ცხოვრებას და ან სხვა უნივერსიტეტში აკეთებს მობილობას, ან ევროპაში გადმოდის და ან საქართველოში ბრუნდება. შესაბამისად, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ამერიკული აკადემიის საუნივერსიტეტო ორიენტაციის ფარგლებში, მოსწავლეები ავსებენ კითხვარს, სადაც დასმულია შეკითხვები თუ რა ტიპის დასახლებაში სურთ სტუდენტებს ცხოვრება, რათა სტუდენტი, რომელიც შეიძლება იმ წამს ასაკითაც და გამოცდილებითაც პატარა იყოს და არ ფიქრობდეს ასეთ „ნიუანსებზე“ დაფიქრდეს ამ თემაზე, ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის წინ.

იმისათვის, რომ ორმხრივი სურათი მიგვეღო და გაგვეგო არა მხოლოდ რატომ სურთ მოსწავლეებს საზღვარგარეთ განათლების მიღება, არამედ ისიც, თუ რა შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოს ინტერესი, რათა გაეგზავნა ქართველი მოსწავლეები განათლების უცხოეთში მისაღებად, ვესაუბრეთ განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელს. მისი თქმით:

„გვაქვს მისია, რაც არის ადამიანური კაპიტალის შექმნა. ადამიანური კაპიტალის შექმნის ორი მექანიზმი არსებობს: შიგნით და გარეთ. ჩვენ ვართ ის მექანიზმი სახელმწიფოსი, რომელიც გარეთ ქმნის ამ ადამიანურ კაპიტალს. ნელ-ნელა, ყველა მერე რა თქმა უნდა უკან

ბრუნდება, და გვაქვს კონკრაქტუალური პასუხისმგებლობები, რომლებითაც განათლების მიღების შემდეგ, უკან ბრუნდებიან“. ნინო ჭელიძე, განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი.

შესაბამისად, ქართველი სტუდენტების უცხოეთში წასვლა, არა მხოლოდ სტუდენტების სურვილითაა გამოწვეული, მიიღონ ახალი გამოცდილება, მეტი ცოდნა და პრესტიჟული უნივერსიტეტის დიპლომი, არამედ თავად სახელმწიფოსგანაც მომდინარეობს, რომელსაც სურს ჩადოს ინვესტიცია ადამიანური კაპიტალის განვითარებაში.

4.3 უცხოეთში მიღებული სამუშაო გამოცდილება

ჯგუფური ინტერვიუს მონაწილეები ზოგჯერ აღნიშნავდნენ, რომ უცხო ქვეყნაში კოლეჯში ჩასვლისას, აწყდებოდნენ კულტურულ შოკს. ზოგისათვის ეს კულტურული შოკი, აკადემიურ სტრუქტურასა და სირთულეებთან იყო ასოციერებული, ზოგისათვის კი თავად ქვეყნის კულტურასთან.

„მაგისტრატურაში არა, მაგრამ ბაკალავრიატში ბევრი იყო. რომ ჩავედი, ავსტრიელები თვითონ არიან ძალიან მოწესრიგებულები, ბიუროკრატიის პიკში არიან. ცივები არიან და აქვთ თავიანთი წესები. მეტროში რომ ჩადიხარ, სად დგახარ მაგას აქვს მნიშვნელობა. და თან ენა რომ არ გესმის და გეჩხუბება უცებ ადამიანი და ვერ ხვდები რატომ. ან რომ გავედი 7 საათზე მაღაზიაში და დაკეტილი რომ დამხვდა და რომ მითხრეს რომ ყველაფერი დაკეტილიაო და აზრი არ აქვსო, ესეც ძალიან დიდი შოკი იყო. კურიოზებიც იყო, ავტობუსს ვაჩერებდი ხელით, ხელს ვუქნევდი და მძღოლი გამოშტერდა...“ ქალი, მაგისტრი, ჰუმანიტარული.

გარდა კულტურასთან ასიცირებული ადაპტაციისა, უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტები უცხოეთში ჩასვლისას აკადემიურ განსხვავებულობასაც აქცევენ ყურადღება, განსაკუთრებით კი ეს მაგისტრებში გამოიკვეთა, სადაც მაგისტრების უმრავლესობის

თქმით, მაგისტრატურაში სწავლა უცხოეთში ბევრად იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე მათი მოლოდინი იყო.

„ისე უცებ მოხდა ჩემი მაგისტრატურაში წასვლა, და ისე უცებ უცებ გამოვიდა, რომ ბოლომდე შეიძლება ითქვას, ვერც გავიაზრე რა სირთულის გამოწვევას შევეჭიდე 20 წლის ასაკიდან. ვხუმრობ ხოლმე, რომ პირველი ჭაღარა გერმანიაში ამომივიდა.“ ქალი, მაგისტრი, იურიდიული.

მამაკაცი იურისტებიც წააწყდნენ გამოწვევებს აკადემიურ გარემოსთან შეჩვევისას.

„უცბად იქ რომ ჩავედით, იმდენად სხვა სისტემა დაგვხვდა იქ, სხვა მასალით, სხვა მასალის რაოდენობით და ინტენსიობით, თან ჯგუფში ქართველები ყველაზე პატარები ვიყავით. ჩვენთვის იყო შოკი, ჩვენი სტუდენტური გამოცდილება იყო არაფერი იმასთან შედარებით... „ კაცი, მაგისტრი, იურიდიული.

აკადემიურ განსხვავებებზე, რომელიც ერთგვარად შოკისმომგვრელი იყო, ყურადღებას არა მხოლოდ იურისტები ამახვილებენ. STEM დამთავრებული კაცი, მაგისტრის თქმითაც:

„ძალიან სერიოზული შოკი იყო. გაუცხოება მქონდა, რომ ისინი ჩემნაირები არ არიან და ვერ მიგებენ, არ ვიცოდი ვის რა გაუხარდებოდა, რა ეწყინებოდა. ენაც პრობლემა იყო, წესით არ უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ ინგლისურში ძალიან მაღალი ქულა მქონდა, მაგრამ, რომ ჩავედი და პირველ ადამიანს გავესაუბრე უნივერსიტეტში, ერთი სიტყვაც ვერ გავიგე. მეორე აკადემიური შოკი მივიღე. პირველი ლექცია რომ იყო, ლექცია დამთავრდა და 20 წიგნი იყო იმ ლექციის საკითხავი, არ ვაჭარბებ, მართლა 20 წიგნი. „

თუ აკადემიური შოკი, მაგისტრებში უფრო გავრცელებული იყო, კულტურული შოკისათვის ხარისხს მნიშვნელობა არ ჰქოდნა, მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ადამიანი პირველად ჩადიოდა თუ არა იმ ქვეყანაში და უცხო გარემოში სასწავლებლად.

რაც შეეხება სტუდენტურ აქტივობებს და სამუშაო გამოცდილებას, ბაკალავრის დონეზე, სტუდენტების უმეტესობა ჩართული იყო საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, სხვადასხვა კლუბების მეშვეობით. მაგისტრატურის დონეზე, მსგავსი გამოცდილება ბევრად მწირი იყო. ამის მიზეზი, რესპოდენტების თქმით, ორი რამ შეიძლება ყოფილიყო: 1) ზოგადად მაგისტრატურა უფრო მოკლე ვადიანია ვიდრე ბაკალავრი, შესაბამისად სტუდენტები იმის გაცნობიერებას ვერ ასწრებდნენ, რომ მაგისტრატურა დაიწყო, რომ უკვე ამთავრებდნენ სასწავლო წელს და 2) მაგისტრატურის დონეზე სწავლა ბევრად უფრო რთული იყო, შესაბამისად მაგისტრებს მეტი დროის დათმობა უხდებოდათ აკადემიური სამუშაოსთვის, რაც აღარ უტოვებდათ დროს, რათა ჩართულიყვნენ სტუდენტურ აქტივობებში ან დასაქმებულიყვნენ ნახევარ განაკვეთზე.

რაც შეეხება ბაკალავრებს, ისინი საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულები სტუდენტურ აქტივობებში და მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში, სტუდენტურ აქტივობებში და სტაჟირების დროს შეძენელი ცოდნა და გამოცდილება, შეიძლება არანაკლები ყოფილიყო, ვიდრე მათი აკადემიაში შეძენილი ცოდნა.

„მე ერთი წელი სტაჟირება გავიარე გაეროში, საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში. მქონდა შეხება დიპლომატიასთან, საერთაშორისო ურთიერთობებთან, ზოგადად ჩვენი, საქართველოს პოზიცია ძალიან კარგად შევიმეცნე. გავერკვიე საკითხებში და მნიშვნელოვანი სტაჟირება იყო იმისათვის, რომ გავრკვეულიყავი როგორი გარემოა და რასთან გვიწევს რეალურად მუშაობა ჩემს სფეროში. პრაქტიკული ცოდნა ნამდვილად მივიღე“ მაგისტრი, ქალი, ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები.

დამატებით, საინტერესო იყო თუ რამდენად ადევნებდნენ უცხოეთში ყოფნის დროს ქართველი სტუდენტები თვალს, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, რათა გამერკვია, თუ რამდენად იყვნენ სტუდენტები უცხოეთში სწავლისას მოწყვეტილები ქართულ რეალობას. რესპოდენტების უმეტესობა, სოციალური ქსელების მეშვეობით ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა

გამოკითხულ რესპონდენტს, ურთიერთობა ჰქონდა თავის ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან უცხოეთში ყოფნისას, ისინი ნებით თუ უნებლიედ მაინც ეცნობოდნენ ინფორმაციას საქართველოში განვითარებული მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. საინტერესოა, რომ იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც ბაკალავარიატიც და მაგისტრატურაც უცხოეთში დაამთავრეს, ბაკალავრის დონეზე მეტად ინტერესდებოდნენ სამშობლოში მიმდინარე პროცესებით, რადგან როგორც აღნიშნეს, ახალი ამბების გაცნობა მეტად იყო ასოცირებული საქართველოს მონატრებასთან, რომელიც უფრო ძლიერი იყო ბაკალავრიატის დონეზე, ვიდრე მაგისტრატურის დონეზე, რადგან მაგისტრატურისას რესპოდენტები უკვე მეტად იყვნენ ადაპტირებული უცხოურ გარემოსთან, და უცხოეთი მათთვის თითქმის ისეთივე მშობლიური გახდა, როგორიც საქართველო. რამდენიმე რესპოდენტმა ისიც აღნიშნა, რომ აქტიურად უყურებდნენ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“, რადგან მათი თქმით ეს სერიალი კარგად გამოხატავს საქართველოს ყოფას, და უცხოეთში ყოფნისას, როდესაც მათ ენატრებოდათ სამშობლო, ეს სერიალი ქართულ რეალობაში დაბრუნების, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო.

4.4 სამშობლოში დაბრუნების მოტივები

სტუდენტთა ნაწილს უცხოეთში სასწავლებლად წასვლამდე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდებოდა, ნაწილს იმედი ჰქონდა, რომ უცხოეთში დარჩებოდა, ხოლო ნაწილს წასვლამდე არც უფიქრია ამ საკითხზე. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმეტესობას, გრძელ ვადიან პერსპექტივაში ესახებოდა საქართველოში დაბრუნება, უბრალოდ ზოგი მიიჩნევდა, რომ ასე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოიქცეოდა, ზოგს კი დამტებითი ცოდნისა და გამოცდილების მიღება სურდა უცხოეთში.

საინტერესოა, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება, დამამთავრებელ კურსზე მიიღო.

საგულისხმოა, რომ საქართველში დაბრუნების მოტივი, ყველაზე ხშირად უცხო ქვეყანაში სამუშაო ვიზის მიღებასთან იყო დაკავშირებული. ეს კი სირთულე იყო იმდენად, რამდენადაც იმისათვის, რომ უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტები დარჩენილიყვნენ უცხოეთში, მათ სწავლის დამთავრებისთანავე უნდა ეპოვათ სამსახური თავიანთ სფეროში, და თან ისეთი სამსახური, რომელიც საკმარისად დაეხმარებოდათ სამუშაო ვიზის მოპოვებაში. რესპონდნეტების აზრით, ვიზის პრობლემა, სამსახურის ძიებაში ქართველ სტუდენტს უკვე დიდი გამოწვების წინაშე აყენებს:

„საქართველოდან ჩასულმა ძალიან რთულია, რომ იქაურს გაუწიო კონკურენცია. იმიტომ რომ, ჯერ ერთი ვიზის პრობლემა გაქვს. პირველი, იქაური არ ხარ და გერმანიაში კანონიც არის, რომ თუ უცხოელს იყვანს, უნდა დაუმტკიცოს დამსაქმებელმა, რატომ იყვანს უცხოელს და არ ადგილობრივს. მეორე, გერმანელი არ ხარ და მესამე, კარგი გერმანელი არ ხარ, მაგრამ ევროპელიც არ ხარ. მეოთხე, კარგი ევროპელიც არ ხარ და მესამე ქვეყნებიდან ხარ და შეიძლება ჩინური ან არაბული იცოდე, რომელზეც არის მოთხოვნა, მაგრამ ეგეც არ იცი, და გამოდის რომ მეოთხე პლანზე გადადიხარ. ამ ყველას უნა გაუწიო კონკურენცია და მინიმუმ, რაღაც ძალიან გამორჩეული უნდა იყო. „ მაგისტრი, კაცი, იურიდიული.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს შეიძლება რიგ შემთხვევაში სურვილიც ქონოდათ, რომ გარკვეული დორით მაინც დარჩენილიყვნენ იმ ქვეყანაში, სადაც მიიღეს განათლება, სავიზო რეჟიმთან და დასაქმებასთან ასოცირებული პრობლემები, მათი საქართველოში ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი იყო. ზოგიერთი რესპოდენტი, იმასაც კი აღნიშნავს, რომ ერთდროულად სწავლა, სამსახურის მოძებნა, ვიზაზე ნერვიულობა, იმდენად დამთრგუნველი აღმოჩნდა, რომ მათ უბრალოდ ჩათვალეს, რომ ეს ყველაფერი საკუთარი თავის ამდენ ტანჯვად არ ღირდა:

„დაემთხვა ძალიან ბევრი პირადი სირთულე, რომელიც მაგისტრატურის დასაწყისში მქონდა, და რომ გადავლახე, იმ პერიოდში დავამთავრე და იმდენად დაღლილი ვიყავი, რომ იმისათვის რომ მე იქ დავრჩენილიყავი ძალიან ბევრი უნდა მებრძოლა. დარწმუნებული ვარ

შევძლებდი, უბრალოდ ძალიან ბევრი უნდა მებრძოლა და ფიზიკურად ენერგია არ მქონდა. საკუთარი ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური სიჯანსაღისა და ნერვული აუშლელობის გამო ჩამოვედი საქართველოში“. ქალი, მაგისტრი, ჰუმანიტარული.

საინტერესოა, რომ თითქმის არცერთი რესპოდენტისათვის, მეგობრებისა და ოჯახის მონატრება, საქართველოს კულტურის მონატრება არ ყოფილა სამშობლოში ჩამოსვლის მოტივი. მართალია სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ რიგ შემთხვევებში ენატრებოდათ ქართული კულტურა, ზოგჯერ ის გულღიაობა, რომლითაც მათი აზრით ქართული კულტურა გამოირჩევა, ეს არ ყოფილა არავისთვის სამშობლოში დაბრუნების მთავარი მოტივაცია. გამონაკლისი იყო ერთი რესპონდენტი, რომელმაც ორი ბაკალავრი და ერთი მაგისტრატურა უცხოეთში დაამთავრა, დაიწყო სადოქტორო და მისთვის საქართველოში დაბრუნება ახალ თავგადასავლებთან იყო ასოცირებული, და სწორედ საქართველოში ახალი თავგადასავლების ძიების სურვილი გახდა მისთვის ერთ-ერთი მთავარი მოტივი, დაბრუნებულიყო საქართველოში:

„სულ ვფიქრობდი, რომ დოქტურანტურის განმავლობაში ერთი წელი შევისვენებდი. ეს იდეაც ალბათ იქიდან გაჩნდა, ბევრგან რომ ვიყავი და სხვადასხვა რაღაცეები რომ ხდებოდა ცხოვრებაში, მინდოდა საქართველოშიც მიმეღო ახალი გამოცდილებები. მე აქ რომ ჩამოვდიოდი, უნდა მეხეტიალა საქართველოში, საქმე არ მქონდა არაფერი დაგეგმილი. „ კაცი, მაგისტრი, STEM.

გამომდინარე იქედან, რომ რესპონდენტების უმეტესობას, ძალიან დიდი ბრძოლა მოუწევდათ უცხოეთში დასარჩენად, როგორც დასაქმების, ასევე ვიზების მოპოვების კუთხით, საქართველოში დაბრუნების ერთ-ერთ ძირითადი მოტივი, იყო მოლოდინი, რომ საქართველოში, მათ მიერ უცხოეთში მიღებული მაღალი განათლების სტანდარტიდან გამომდინარე, ისინი განსაკუთრებული სირთულეების გარეშე შეძლებდნენ მათთვის მისაღებ პოზიციაზე დასაქმებას.

„გერმანიაში სანამ წავიდოდი, ბაკალავრის დონეზე, რაღაც სამსახურზე ისე მარტივად მოვხვდი, რომ ვიფიქრე, რომ უცხოეთში რომ წავალ და იქიდან დიპლომით დავბრუნდები, საერთოდ ტაშის კვრით შემხვდებოდნენ“ მაგისტრი, იურიდიული, კაცი.

ბევრმა სტუდენტმა, მას შემდეგ რაც საქართველოში დაბუნებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში სამსახურების ძიება, ადგილიდავნე დაიწყო, ძირითადად ონლაინ პორტალების გამოყენებით, თუმცა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თუ გაამართლა ამ სტრატეგიამ. უმეტესობას, საქართველოში დაბრუნებისას, არ ჰქონდა მკაფიო წარმოდგენა, თუ რითი შეიძლება დაკავებულიყვნენ სამშობლოში დაბრუნებისას.

4.5 საქართველოს შრომით ბაზარზე ინტეგრაციის სირთულეები

სამშობლოში დაბრუნებისას, ბევრი საუბრობს საპირისპირო კულტურულ შოკზე. ამ შემთხვევაში ეს შოკი მეტად არის ასოცირებული სამუშაო გარემოს მოთხოვნებთან და სტანდარტებთან, ვიდრე თავად ქართულ კულტურასთან.

„როდესაც უყურებ, რომ ვიღაც 21 წლის გია, რომელსაც ყავს ნაცნობი და ზის და უკვე არის უმცროსი სპეციალისტი და შენ უცხოეთში, ერთ-ერთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტში მაგისტრატურა დამთავრებული სტაჟირებაზე რომ ხარ, ის 23 წლის რომ იქნება, სულ შენზე ხუთი ნაბიჯით წინ დგას. უცხოეთში რომ არის, რომ შენ სტაჟირება აუცილებლად უნდა გაიარო რომ წლების შემდეგ სამსახური ნახო და მიიღო ცოდნა, რომ მიღებული განათლება პრაქტიკაში დახვეწო, ჩვენთან ეს ესე არ არის. ნეპოტიზმი დიდი პრობლემაა და ის ვინც შენ უნდა აგიყვანოს, ისიც თვითონ დიდი ალბათობით მოხვდა ნეპოტიზმით, და იმასაც არ უნდა რომ აგიყვანოს, არ აწყობს, იმიტომ რომ რთულია შენნაირი კადრის მენეჯმენტი“. იურისტი, ქალი, მაგისტრი.

ნეპოტიზმი, თითქმის ყველა ჯგუფში დასახელდა დასაქმების პრობლემად, გარდა STEM მაგისტრებისა. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, ზუსტი მეცნიერება, ისეთი

დარგია, რომ შეუძებელია თუ ადამიანს ამ სფეროში განსაკუთრებული ცოდნა გაქვს, ეს არ ჩანდეს, ან პირიქით, თუ ცოდნა არ გაქვს, ეს დაიმალოს.

„ცოტა დარგების კულტურას შორის არის განსხვავება. მათემატიკა, ფიზიკა, კიდევ ხელზე ჩამოსათვლელი დარგები, აი ამ დარგებში, სულ რომ გინდოდეს, თვალს ვერ დახუჭავ, რომ ვიღაცა მაგარია. ანუ რას ვამბობ, ობიექტური საზომი არსებობს. ანუ მათემატიკაში, რაღაც პრობლემას რომ ამოხსნი, ობიექტურად ის გადაწყვეტილია, ვერავინ ვერ გეტყვის, რომ ის გადაწყვეტილი არ არის. როცა ჰუმანიტარებში ეს საერთოდ არ ხდება და პოლიტიკას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, როგორც აკადემიაში, ერთმანეთს რომ ჭამენ, ეს მათემატიკურზეც არის, მაგრამ ეს მოყუჩებულია. ვიღაცა თუ მართლა მაგარია, იმას ვერავინ ვერაფერს ვერ უბედავს. როცა მაგალითად იურისტებში, ასეთი ობიქტური საზომი არ არის და წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ვის გადაუწევს ხელს. „ კაცი, მაგისტრი , STEM.

საინტერესოა, რომ თითქმის ყველა რესპონდენტს, თავდაპირველად საკმაოდ გაუჭირდა სამსახურის პოვნა. ბევრი მათგანი 50 -ზე მეტ გასაუბრებაზე იყო, თუმცა როგორც წესი, უარის პასუხსაც კი არ იღებდა, უკუკავშირზე კი, თუ რატომ არ აიყვანეს პოზიციაზე, ლაპარაკი უკვე ზედმეტი იყო. თავდაპირველ წარუმატებლობას, რესპოდენტების აზრით, რამოდენიმე ფაქტორი განაპირობებდა :

1) მათ ჰქონდათ მაღალი ხარისხის განათლება, თუმცა არ ჰქონდათ სამუშაო სტაჟი, შესაბამისად დამწყებ პოზიციაზე უნდა დაეწყოთ მუშაობა. დამწყებ პოზიციაზე კი დამქირავებლები, ზოგჯერ პირდაპირ ამბობდნენ, რომ ამხელა განათლების მქონე კადრს აუცილებლად გაუჩნდება, უფრო მაღალ პოზიციაზე მუშაობის ამბიცია და აპრიორი არ უღირდათ მსგავსი კადრის სამსახურში აყვანა.

„ძალიან ბევრ კომპანიაში ვიყავი და თავიდან ძალიან დიდი იმედგაცრუება მქონდა. რამოდენიმე კომპანიაში დაემთხვა ისე, რომ მეუბნებოდნენ, შენ მერე მოგინდება მეტი და

უფრო დიდი ამბიცია გაქვს ვიდრე ეს პოზიციაა და მე კონკრეტულად ის კომპანია მომწონდა და მინდოდა რომ იქ ვყოფილიყავი. ერთი კონკრეტული კომპანია იყო, ჩვეულებრივი დაბალი პოზიცია იყო, უბრალოდ სფერო მაინტერესებდა და HR ვინც იყო მითხრა, რომ მე მგონია ზედმეტი კვალიფიკაცია გაქვსო. რომ ხედავენ, რომ უცხოეთში გაქვს განათლება, დარწმუნებულები არიან რომ მეტი მოგინდება და ამიტომ პირდაპირ მითხრეს, ესეთი კადრი ეხლა არ გვჭირდებაო" გოგო, ბაკალავრი, ბიზნესი და ეკონომიკა.

2) ზოგიერთმა რეპონდენტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ მაღალი კულტურული და აკადემიური კაპიტალი, ისინი განიცდიდნენ სოციალური კაპიტალის ნაკლებობას. როგორც ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება მეტი ცოდნა ჰქონოდა კონკრეტულ სფეროში, მის თანამშრომლებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ და ამ სფეროში ბევრ ადამიანს იცნობდნენ, ბევრად ნაკლებ დროს ხარჯავდნენ კონკრეტული საკითხების გარკვევაზე და აქედან გამომდინარე, უფრო ოპერატიულად ასრულებენ რიგ დავალებებს.

3) უცხოეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს, საკმაოდ მაღალი თამასა აქვთ, თუ როგორი ტიპის სამსახურში დასაქმდებიან. ეს თამასა იმით არ განისაზღვრება, რომ მათ პირდაპირ მაღალ თანამდებობებზე დასაქმება სურთ, პირიქით, ისინი აღიარებენ, რომ მიუხედავად მაღალი ხარისხის აკადემიური განათლებისა, მათ აკლიათ პრაქტიკული გამოცდილება. მაღალი თამასა გამოიხატება იმაში, რომ მათ სურთ საკუთარ სფეროში ან რაიმე მომიჯნავე საინტერესო სფეროში დასაქმება, სადაც მათ ექნებათ საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობა, სადაც არ მოაჭრიან ფრთებს და სადაც დაუშვებენ კრიტიკულ და განსხვავებულ აზრს. ისინი უცხოეთიდან აგიზგიზებული ცეცხლით ჩამოდიან, რომელიც უნდათ რომ განვითარებას მოახმარონ, იმ ადგილას, სადაც დასაქმებული იქნებიან, თუნდაც ეს სტაჟირება ან ყველაზე დაბალი რანგის სამუშაო იყოს. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ შესძლონ საკუთარი ცოდნის სხვებისთვის გადაცემა და იგრძნონ, რომ რუტინულ საქმეს არ აკეთებენ და რეალურად შეუძლიათ ის ცოდნა რომელიც უცხოეთში მიიღეს მოახმარონ

თავიანთ სამსახურს, თავიანთ სფეროს, თავიანთ ქვეყანას. ზოგადად, მათთვის რაიმე სამსახურის მოძებნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რაც დიდი პრიოტიტეტია საქართველოში, სადაც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 14% უმუშევარია, თუმცა ისინი რაღაც სამსახურებს არ ჯერდებიან. როგორც ერთ-ერთმა მაგისტრატურა დამთავრებულმა იურისტმა ქალმა აღნიშნა, მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი იურიდიული მიმართულებით, იმისთვის არ დაუმთავრებია, რომ ინგლისურის კარგად ცოდნისათვის, საქართველოში ინგლისურად წამლების გაყიდვაში ემუშავა. რესპოდენტების უმრავლესობის აზრით, მათთვის ბევრად მისაღებია გააკეთონ სტაჟირება, თუნდაც ანაზღაურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ ეს სტაჟირება იქნება გაზრდის პერსპექტივით და ისინი შეძლებენ იქ საკუთარი თავის რეალიზებას, ვიდრე მოხვდნენ უფრო მაღალ პოზიციაზე და შეიძლება უფრო მაღალი ანაზღაურებითაც ისეთ ადგილას, სადაც რუტინული სამუშაოა გასაკეთებელი, რომელიც არ ითხოვს კრიტიკულ აზროვნებას და რომელშიც არ არის არც პროფესიული და არც პიროვნული ზრდის პერსპექტივა.

რომ შევაჯამოთ, იკვეთება ტენდენცია, რომ უცხოეთიდან ჩამოსვლიდან პირველი პერიოდი საკმაოდ რთულია სტუდენტებისათვის დასაქმების კუთხით, თუმცა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მათი უმეტესობა მაინც პოულობს ისეთ სამსახურს, რომელიც მათთვის მისაღებია. მათთვის მისაღები სამსახური შეიძლება არ იყოს მათთვის მისაღები ხელფასის შესაბამისი, თუმცა ისინი მაინც მეტ-ნაკლებად კმაყოფილები არიან, რადგან ხედავენ ზრდის პერსპექტივას და გრძნობენ, რომ რაღაც სასარგებლოს აკეთებენ. ამ დაკვირვებას, ადასტურებს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიის (GZAAT) საუნივერსიტეტო ორიენტაციის მრჩველიც, რომლის დაკვირვებითაც :

„მე რაც მსმენია, მაგალითად, არის, რომ ის დინამიკა, ის ენერგია რასაც ელოდებიან სამსახურებში, არ არის. ეს პრობლემა ძირითადათ აქვთ, სანამ მოერგებიან. მე ვფიქრობ, რომ ეს ალბათ თავიდან არის ასე, და მერე ალბათ ჩვენებიც თავის ტემპს აგდებენ.“

განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელის თქმითაც, ყველა სტიპენდიანტი, რომელმაც უცხოეთში მიიღო განათლება და დღეს საქართველოში დაბრუნდა, დასაქმებულია და ძირითადად დასაქმებულია თავისი სფეროს შესაბამისად. მისი თქმით, მხოლოდ ორჯერ ჰქონდათ ისეთ შემთხვევა, როდესაც ადამიანი ვერ დასაქმდა, და ესეც იყო იმიტომ, რომ ისინი არ იყვნენ კმაყოფილები შეთავაზებული ხელფასებით.

„როგორ გითხრათ, თეორიულადაც ვერ ვხვდები როგორ შეიძლება ვერ დასაქმდე. გასაგებია, რომ შეიძლება ის ხელფასი არ გაწყობდეს რასაც გთავაზობდნენ, თუმცა არ გვყავს ეგეთი [ვინც ვერ დასაქმდა] და ამიტომ მიჭირს ამაზე ლაპარაკი“ ნინო ჭელიძე, განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი.

საბოლოო ჯამში, როგორც ჯგუფური ინტერვიუებიდან, ისე პროფესიული ინტერვიუებიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ უმეტეს შემთხვევაში, ცოტა თუ ბევრი წვალების შემდეგ, უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტები მაინც დაწინაურებული კადრები არიან საქართველოს შრომით ბაზარზე და, ადრე თუ გვიან, ახდენენ საქართველოს შრომის ბაზარზე ინტერგაციას, იმ ფორმით, რომელიც მისაღებია მათთვის. როდესაც დავსვი შეკითხვა, თუ რა ტიპის რეფორმები შეიძლება ჩატარებულიყო იმისათვის, რომ უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების ინტეგრაცია საქართველოს შრომით ბაზარზე უფრო მარტივი გამხდარიყო, ერთ-ერი ფოკუს ჯგუფის წევრმა, კითხვა შემომიბრუნა და მკითხა თუ რატომ უნდა გამარტივებულიყო მათთვის საერთოდ დასაქმება, რადგან მათ უცხოეთში განათლების მიღების გამო უკვე აქვთ პრიორიტეტი, და უსამართლო იქნებოდა, კიდევ დასაქმებაშიც რომ ჰქონოდათ მეტი ხელშეწყობა. განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელიც გარკვეულწილად იზიარებს ამ მოსაზრებას: *„მე ძალიან წინააღმდეგი ვარ, რომ ორგანიზაციამ რომელიც არჩევს და ასწავლის, შემდეგ კიდევ დაასაქმოს ეს ხალხი. იმიტომ რომ მგონია, რომ ადამიანს როდესაც თევზის დაჭერას ასწავლი, არ მგონია რომ მაინც და მაინც თევზი უნდა დაუჭირო და აჭამო. მეორე მგონია, რომ ეს მეტ უკმაყოფილებას გამოიწვევს ვიდრე კმაყოფილებას, იმიტომ რომ*

ახალგაზრდა თაობა ხედავს იმ პერსპექტივას, რომელსაც ესტაბლიშმენტი ვერ ხედავს. თვითორგანიზების ტენდენცია, რომლიც ევროპაში არის, საქართველოშიც მალე დაიწყება. ამისთვის, მოქნილი სივრცე უნდა არსებობდეს და მოქნილი ინსტრუმენტები. არ შეიძლება, რომ ადამიანმა ისწავლოს, ჩამოვიდეს და მე დაგახვედროთ კონკრეტულად ადგილი სამინისტროში ან მერიაში, არ მგონია სწორი. უკვე რაღაცა სახით, ადამიანის განვითარებისა და ადამიანის უფლებების ხაზზე გადის".

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა გარკვეული ნაწილის აზრით, უცხოეთიდან ჩამოსულ სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ხელშეწყობა უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, რათა მოერგოს საქართველოს შრომით ბაზარს, ჯგუფური ინტერვიუს მონაწილეებმა, მაინც წამოჭრეს რამდენიმე იდეა, რომელიც მათი აზრით, დაეხმარებოდა მომავალ თაობებს, და უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს, რომლებიც საქართველოში ბრუნდებიან, რათა კარგად მოერგონ საქართველოს შრომით ბაზარს.

4.6 რეკომენდაციები

ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, რაც უცხოეთში განათლება მიღებულმა სტუდენტებმა წამოჭრეს, იმისათვის რომ მომავალში სხვა სტუდენტებს გაუადვილდეთ საქართველოს შრომით ბაზართან ადაპტაცია, არის ის, რომ სტუდენტი, უცხოეთში გამგზავრებმდე, მეტ-ნაკლებად უნდა გაეცნოს საქართველოს შრომით ბაზარს, და იქამდე სანამ რაიმე კონკრეტულ დარგს აირჩევს, უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დარგებში არიან საქართველოში დასაქმებული ჭარბად ადამიანები და რომელი დარგები განიცდიან კადრების ნაკლებობას.

„ბაზრის მოთხოვნა ძალიან მნიშვნელოვანია. იურისტი ძალიან ბევრია. მართლა მაგარი იურისტი რომ ჩამოვა შენთან და დასაქმდება, ის შეგიძლია გაუშვა და მაინც ბევრი იქნება კიდევ იურისტი. ანუ მე რომ გავუშვა ერთი მაგარი მონაცემთა მეცნიერი, ის ადგილი ცარიელია და მორჩა ". კაცი, მაგისტრი, STEM.

შესაბამისად, პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, რომ მოხდეს საქართველოს შრომის ბაზრის დეტალური კვლევა და ეს კვლევა ხელმისაწვდომი იყოს, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე იმ მასწვალებლებისა თუ მრჩევლებისათვის, რომლებიც მოსწავლეებს უცხოეთში წასასვლელად ეხმარებიან, რათა ბაზრის მოთხოვნა თავიდანვე გათვალისწინებული იყოს, სანამ ადამიანი აირჩევს თუ რომელ მიმართულებას უნდა გაჰყვეს.

მეორე რეკომენდაცია, რომელიც არაერთ ჯგუფში წამოიჭრა, იყო უცხოეთიდან ჩამოსული სტუდენტების ასოციაციის შექმნა, სადაც უცხოეთიდან ჩამოსული სტუდენტები, რომლებმაც უკვე ფეხი მოიკიდეს საქართველოში და წარმატებით არიან დასაქმებულები, რაღაც ინტენსიობით გამართავდნენ შევხედრას ახლად ჩამოსულ სტუდენტებთან, რათა გაუზიარონ თავიანთ გამოცდილება და რჩევები მისცენ ახალჩამოსულებს.

მესამე რეკომენდაცია, არის კონკრეტულად უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტებისათვის პატარა ცენტრის შექმნა, სადაც პროფესიონალებს გაანალიზებული ექნებათ უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტის ფსიქოლოგიური პორტრეტი. შესაბამისად, პროფესიონალები შესძლებენ მისცენ რჩევები უცხოეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს თუ რას უნდა ელოდნენ საქართველოს შრომით ბაზარზე, რა ტენდენციებია, რა ტიპის საქციელს ელოდებიან მისგან დამსაქმებლები. რამოდენიმე რესპოდენტმა, ეს ცენტრი საერთაშორისო სტუდენტების პრე-ორიენტაციას შეადარა, სადაც მაგალითად ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში , სანამ სწავლა დაიწყება, ბაკალვრის სტუდენტები რომლებიც არა ამერიკელები არიან, სასწავლებელში ერთი კვირით ადრე ჩადიან და მათ ფსიქოლოგები, სოციოლოგები და ლექტორები ერთ კვირიან ტრენინგს უტარებენ და ასწავლიან, თუ როგორია ამერიკული კულტურა, რა არის მისაღები და რა არ არის მისაღები ამ კულტურაში, როგორია მოქცევის წესები და მოლოდინები, როგორ უნდა მოიქცნენ კონკრეტულ შემთხვევაში და ა.შ შესაბამისად, რესპონდენტების აღქმით, ძალიან სასარგებლო იქნებოდა, რომ შექმნილიყო ისეთი ცენტრი, რომელსაც მსგავსი პროგრამა

ექნებოდა როგორც საერთაშორისო სტუდენტების პრე-ორიენტაციას, ოღონდ ამ შემთხვევაში პრე-ორიენტაცია პირიქით იქნებოდა, უცხოეთში ნასწავლ ქართველ სტუდენტებს ჩაუტარებდნენ ტრენინგებს იმასთან დაკავშირებით, თუ რას უნდა ელოდნენ ისინი საქართველოს შრომითი ბაზრიდან.

და ბოლოს, მეოთხე რეკომენდაცია, რომელიც უფრო გლობალურ სახეს ატარებს არის ნეპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც რესპონდენტთა თქმით, არა მხოლოდ უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტებისთვის წარმოადგენს პრობლემას, არამედ ზოგადად ქართველი ახალგაზრდობისთვის. მათი აზრით, კონკურსები უნდა გახდეს ბევრად გამჭვირვალე და მეტად უნდა ამოძრავდნენ მექანიზმები, რომლებიც ამ კონკურსების გამჭვირვალობას გაუწევენ მონიტრინგს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კონტაქტები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველგან აქტუალურია, განსხვავება ისაა, რომ უცხოეთში სოციალური კონტაქტები პრიორიტეტია, საქართველოში კი ხშირად აუცილებლობა. დამატებით, იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ უცხოეთში შეიძლება ერთი კადრი ნაცნობობის გამო აიყვანონ, კომპენსაციის სახით მეორე კადრს პროფესიონალიზმის გამო აიყვანენ, როდესაც საქართველოში დიდი ალბათობით ორივე კადრის აყვანა ნაცნობობით მოხდება და ნაკლები ყურადღება მიექცევა თავად კადრის პროფესიონალიზმს. მათი აზრით, დროთა განმავლობაში მეტი და მეტი უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტი ბრუნდება საქართველოში, რომელიც შეჩვეულია მერიტროკრატიულ სტრუქტურას, და იმას, რომ ადამიანები თავიანთი ცოდნითა და გამოცილებით ფასობენ და არა მხოლოდ ნაცნობებით. ესეთი ადამიანები შეიძლება მომავალში გახდნენ დამსაქმებელები და როდესაც ისინი გახდებიან დამსაქმებლები, ბევრად მაღალია ალბათობა რომ კადრი თავისი პროფესიონალიზმისა და არა ნაცნობობის გამო აიყვანონ სამსახურში.

5. დისკუსია

ქართველი სტუდენტების მოტივაცია გაემგზავრონ სასწავლებლად უხოეთში, ეხმიანება როგორც აფრიკის კონტინენტის ქვეყნების, ასევე ბრიტანელი სტუდენტების მოტივაცის, მიიღონ განათლება უცხოეთში. როგორც რიგი კვლევები აჩვენებს (Riano & Piguet 2016), თუ სამხრეთ აფრიკის კონტინენტის ქვეყნებიდან სტუდენტების უცხოეთში გამგზავრების მამოტივირებელი ფაქტორები უკეთესი დასაქმების პერსპექტივები, კარიერული წინსვლა, უკეთესი ხელფასები, უფრო მაღალი განათლების დონე, და მშობლიურ ქვეყანაში სტაბილურობის გარანტიის ნაკლებობაა, ბრიტანელი სტუდენტებისათვის, ერთ-ერთი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი გაეგრძელებინათ სწავლა უცხოეთში, იყო თავგადასავლის და ახალი გამოცდილების მიღების სურვილი. საქართველოს შემთხვევამ გვაჩვენა, რომ ქართველი სტუდენტები თვისებრივად ჰგვანან როგორც აფრიკელ, ისე ბრიტანელ სტუდენტებს. მათთვის (როგორც ბრიტანელი სტუდენტებისთვის) ახალი თავგადასავლებისა და უცხოეთში ცხოვრებიდან გამოწვეული თვითშემეცნების სურვილი ერთ-ერთი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორია და როგორც აფრიკის კონტინენტის მკვიდრები, ქართველი სტუდენტების უცხოეთში გამგზავრების მოტივაციას ასევე წარმოადგენს უკეთესი ხარისხის სასწავლებელი და კარიერული წინსვლის სურვილი.

ვოლერშტაინის თეორიის შესაბამისად, ქართველი სტუდენტების შემთხვევაშიც, მიგრაციული პროცესები პერიფერიიდან ცენტრისკენ (core) ვითარდება, სადაც ქართველი სტუდენტები განათლების გაგრძელებას მეტად ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში არჩევენ.

არსებული ლიტერატურის საპირიპიროდ, სადაც სამშობლოში დაბრუნების ერთ-ერთ მამოტივირებელ ფაქტორად სტუდენტების ოჯახი და მათი პირადული მოტივაციი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად იკვეთება (Qin, 2011), ქართველი სტუდენტების შემთხვევაში, ოჯახის ან მეგობრების მონატრება, არ ყოფილა სამშობლოში დაბრუნებისას მთავარი მოტივატორი. მათი სამშობლოში დაბრუნება უფრო მეტად იძულებითი იყო,

რამდენადაც, უცხოეთში სწავლის დასრულების შემდეგ, მათ სირთულეები ექმნებოდათ სამუშაო ვიზასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისინი უკეთესი და უფრო მარტივი დასაქმების პერსპექტივებს საქართველოში ხედავდნენ. ის გარემოება, რომ უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტები, მათ მიერ უცხოეთში მიღებულ განათლებასა და გამოცდილებას, დიდ პრიორიტეტად აღიქვამენ და ხშირად აქვთ მოლოდინი, რომ სამშობლოში დაბრუნებისას, უფრო მაღალ ანაზღაურებადი სამსახურის პოვნას შეძლებენ, თანხვედრაში მოდის არსებულ ლიტერატურასთან (Le Bail and Shen, 2008).

ქართველი სტუდენტები, სამშობლოში დაბრუნებისას, ხშირად განიცდიან საპირისპირო კულტურულ შოკს, სადაც მათ სჭირდებათ დრო, მოახდინონ ადაპტაცია საქართველოს შრომით ბაზართან. ქართველი სტუდენტების საპირისპირო კულტურულ შოკთან ადაპტაციის ტენდენციები, იმეორებენ სტორტის მიერ აღწერილ ფორმას, სადაც მკვლევარი აღნიშნავს, რომ კულტურულ შოკს და საპირისპირო კულტურული შოკს აქვთ ტენდენცია დაიცვან U მრუდის გადანაწილების ნიმუში (Storti, 1997). თავდაპირველად საქართველოში დაბრუნებული სტუდენტები, ბედნიერები არიან მონატრებულ ქვეყანაში ჩამოსვლის გამო, ესიყვარულებიან თავიანთ მეგობრებს და ახლობლებს, ისვენებენ გადატვირთული სასწავლო გრაფიკისგან, მიირთმევენ ქართულ კერძებს. შემდეგ გარკვეული პერიოდის შემდეგ, აცნობიერებენ, რომ შეიძლება მათი სოციალური კაპიტალი საქართველოში არც თუ ისეთი ძლიერია. ქართველი სტუდენტების მიერ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სოციალური კაპიტალის ნაკლებობა, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისათვის, რომლთაც ბაკალავრის ხარისხი მოიპოვეს უცხოეთში ახლოს დგას ჩენის 2014 წლის კვლევის შედეგებთან, სადაც მკვლევარი ასკვნის, რომ უცხოეთიდან დაბრუნებული ჩინელი სტუდენტები, უცხოეთში ყოფნისას სამშობლოში კარგავენ სოციალურ კაპიტალს, რომელიც მათ სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარებათ. უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტები აწყდებიან სირთულეებს საქართველოს შრომით ბაზარზეც, სადაც ხშირად მათი მოლოდინებისგან განსხვავებულ რეალობა ხვდებათ და ეს რიგ შემთხვევაში მათში

დეპრესიასაც კი იწვევს. დროთა განმავლობაში, დაბრუნებული სტუდენტები ადაპტირდებიან საქართველოს შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან, მეტად ერკვევიან იმაში, თუ რომელ ინსტიტუტს რა დანიშნულება აქვს, რა მოთხოვნები აქვთ დამსაქმებლებს დასაქმებულებთან და ასევე ნელ-ნელა იძენენ სოციალურ კაპიტალს. შესაბამისად, გარკვული დროის შემდეგ, ისინი ახდენენ ადაპტაციას, და თავს მეტ-ნაკლებად ბედნიერად გრძნობენ.

ქართველი სტუდენტების წარმოდგენა საქართველოში დასაქმების პერსპექტივებზე, ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე რეალობა, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ აწყდებიან. ეს შედეგი მსგავია ჩინეთში უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტებისთვისაც, სადაც ზოგიერთ ავსტრალიიდან დაბრუნებული ჩინელი სტუდენტი უკმაყოფილი იყო მათი მნიშვნელობით ჩინეთის შრომით ბაზარზე და ბევრად მწირე დასაქმების პერსპექტივით, ვიდრე მათ წარმოედგინათ (Keren, Guo and Ping, 2003).

იკვეთება, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და უცხოეთში მიღებული გამოცდილების შეუსაბამობა, სამსახურების ძიების პირველ ეტაპზე. იკვეთება ტენდენციები, როდესაც უცხოეთიდან ჩამოსული სტუდენტები არ არინ აღჭურვილები საკმარისი სოციალური კაპიტალით, რათა კარგად გაერკვნენ სამუშაო გარემოში. ხშირია შემთხვევები, როდესაც თავად დამსაქმებლები დიდ ამბიციურობას ხედავენ უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებში და ამის გამო პატარა პოზიციებზე უარს ეუბნებიან. როგორც რამოდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, არის შემთხვევები, როდესც საქართველოში განათლება მიღებულ და საქართველოში სამუშაო გამოცდილება მიღებულ კადრებს ენიჭებათ უპირატესობა, რადგან მათ გააჩნიათ მეტი სოციალური კაპიტალი და კონკრეტული საქმეების მოგვარება, უცხოეთიდან დაბრუნებულ სტუდენტებზე უფრო მალე შეუძლიათ. ეს აზრი თანხვედრაში მოდის ფინეთში ჩატარებულ კვლევასთან, რომელიც დამსაქმებლებთან ჩატარდა, რათა გაეგოთ რამდენად ჰქონდათ პრიორიტეტი უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებს ადგილობრივებთან. როგორც კვლევებმა აჩვენა, შემთხვევების თითქმის 50%-ში

დამსაქმებლებისათვის უფრო ფასეული იყო ადგილობრივი საერთაშორისო გამოცდილება, ვიდრე უცხოური (Garam, 2005).

რესპონდენტების დიდი ნაწილი იზიარებს მსოფლიო ბანკის ანგარიშში წამოჭრილ აზრს, რომლის თანახმადაც განათლება-შრომის ბაზრის კავშირების სრულყოფილი სურათის მისაღებად ნებისმიერ ქვეყანაში, მიწოდების ანალიზი უნდა შეივსოს მოთხოვნის ანალიზით. როგორც რესპოდენტები აღნიშნავდნენ, ძალიან კარგი იქნებოდა, უცხოეთში წასვლამდე მეტად რომ გარკვეულიყვნენ იმაში, თუ რა პროფესია უნდა აერჩიათ (ბაკალავრიატის დონეზე) და ასევე მეტი ინფორმაცია მიეღოთ თუ რა ხდებოდა საქართველოს შრომით ბაზარზე მათი პროფესიის შესაბამისად. როგორც საქართველოს სახელმწიფო აუდიტის დასკვნების მიხედვით იკვეთება, სტუდენტები მეტადაც კი რომ ჩაძიებოდნენ და გარკვეულიყვნენ იმაში თუ რა პროფესია უნდა აერჩიათ, შეიძლება ვერც მიეღოთ, ამომწურავი პასუხები თუ რომელი სფერო უნდა აერჩიათ, რომელიც შემდეგ მოთხოვნადი იქნებოდა საქართველოს შრომის ბაზარზე, რადგან როგორც აუდიტი ასკვნის, ქვეყნისათვის პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრისას, განათლების სამინტროს შესაბამისი კვლევები არ ჩაუტარებია, შესაბამისად, არ არის გამოკვლეული შერჩეული მიმართულებების თავსებადობა ქვეყნის საჭიროებებთან. აუდიტის ანგარიშში ნათქვამია: „ თითოეული მიმართულების მიხედვით, არ არის შეფასებული შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების ხარისიხის მქონე სპეციალისტთა საჭიროება, რაც გამოწვულია პასუხისმგებელ სამინისტროებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის არასაკმარისი კოორდინაციით“ (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი, 2019). შესაბამისად, ჯგუფური ინტერვიუს მონაწილეების შეფასება, რომ უცხოეთში წასვლამდე, ისინი ხშირად არ იყვნენ საკმარისად გათვითცნობიერებულები თუ რა დარგი უნდა აერჩიათ და არჩეული დარგი რამდენად იქნებოდა თავსებადობაში საქართველოს შრომით ბაზართან, არ არის გასაკვირი, რადგან როგორც აუდიტის ანგარიშშია აღნიშნული, არ ჩატარებულა კვლევები, რომელიც

შეისწავლიდა უმაღლესი განათლების მიმართულებების თავსებადობას ქვეყნის შრომითი ბაზრის საჭიროებებთან. ეს პრობლემა აქტუალური უნდა იყოს არა მხოლოდ უცხოეთში განათლება მიღებული, არამედ საქართველოში განათლება მიღებული ქართველი სტუდენტებისთვისაც.

საინტერესოა, რომ ამ მხვრივ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ საინტერესო პროგრამა შეიმუშავა, სადაც „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა წარმოადგენს. ადამიანებს შეუძლიათ შევიდნენ ონლაინ ბმლუზე (https://myprofession.gov.ge/videos) და იხილონ ვიდეობი, სადაც სხვადასხვა დარგის ადამიანები, საუბრობენ საკუთარ პროფესიაზე.

აღნიშნული კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა, ძირითადად დაკავშირებულია გეოგრაფიულ მოცვასთან, რადგან ფოკუსირებული ჯგუფები თბილისში ჩატარდა. მომავალი კვლევებისათვის, საინტერესო იქნებოდა იმის დადგენაც, რამდენად საქმდებიან უცხოეთიდან ჩამოსული სტუდენტები რეგიონებში. დამატებით, სასურველი იქნებოდა მეტი ადამიანის ჩართვა ჯგუფურ ინტერვიუში და მათთვის შესაბამისი წახალისების უზრუნველყოფა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მეტმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი ჩართულიყო კლევაში, მოუცლელობის გამო, ბევრმა ადამიანმა ვერ მიიღო კვლევაში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ჩასატარებლად როგორც შაბათ-კვირა, ისე გვიანი საათები ჰქონდათ შეთავაზებული. დამატებით, ერთ-ერთი კვლევის შეზღუვაა, რომ რესპონდნეტები გამოიკითხნენ ოთხი დიდი დისციპლინიდან (STEM, იურიდიული, ჰუმანიტარული და ბიზნესი და ეკონომიკა) სადაც ბევრი პროფესია ერთად იყო აგრეგირებული, საინტერესო იქნებოდა მეტად დაწვრილებითი ანალიზი პროფესიების მიხედვით.

კვლევის რეკომენდაციებია, უცხოეთში გამგზავრებამდე, სტუდენტი მეტ-ნაკლებად გაეცნოს საქართველოს შრომით ბაზარს, და იქამდე სანამ რაიმე კონკრეტულ დარგს

აირჩევს, უცხოეთში წასვლამდე შეიქმნას წარმოდგენა თუ რა მიმართლებით შეძლებს ის მომავალში საქართველოში დასაქმებას. დამატებით, სასურველია შეიქმნას უცხოეთში განათლება მიღებულ სტუდენტებზე ორიენტირებული ცენტრი, რომელიც მათი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, შეუმსუბუქებდა სტუდენტებს საქართველოს შრომით ბაზართან ადაპტაციის სირთულეებს და გააცნობდა საქართველოს შრომითი ბაზრის თავისებურებებს. შესაძლებელია გარკვეულწილად გაეროს ფარგლებში საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო მისიის (IOM) მოდელის გადაღება, რომელიც მუშაობს იძულებით მიგრანტებზე და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საქართველოში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო მისიას რამოდენიმე ქვეყანაში აქვს თავისი ოფისი, სადაც იძულებით მიგრაციაში მყოფ ქართველებს უწევენ დახმარებას, რათა დაბრუნდნენ სამშობლოში და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას ეხმარებიან სამსახურის მოძიებაში, კულტურასთან ხელახალ ადაპტაციაში და ა.შ მსგავსი ტიპის ცენტრის შექმნა ძალიან საინტერესო და პერსპექტიული იქნებოდა თუ ამ ცენტრის მისია კონკრეტულად უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების საქართველოში რეინტეგრაცია იქნებოდა.

ასევე სასურველია შეიქმნას უცხოეთში განათლება მიღებული ადამიანიების ასოციაცია, რომლებიც გარკვეულწილად მენტორობას გაუწევდნენ უცხოეთიდან ახლად დაბრუნებულ სტუდენტებს. აღსანიშნავია, რომ განათლების საერთაშორისო ცენტრი ამ მიმართულებით უკვე დგავს ნაბიჯებს და შექმნილია კურსდამთავრებულთა ასოციაცია. გრძელვადიან პერსპექტივაში, მთავარი რეკომენდაცია, არა მხოლოდ უცხოეთში განათლება მიღებული სტუდენტების, არამედ საქართველოში განათლება მიღებული სტუდენტების შრომით ბაზარზე ინტეგრაციისათვის, არის რომ, დაძლეული იყოს ნეპოტიზმის პრობლემა და კონკურსები და სამსახურზე აყვანის პროცედურები, ბევრად უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა გახდეს.

6. გამოყენებული ლიტერატურა

1. Bochner, S. (2003). Culture Shock Due to Contact with Unfamiliar Cultures. Online Readings in Psychology and Culture, 8(1). doi:10.9707/2307-0919.1073

2. Burja, C., & Burja, V. (2013). Educations Contribution to Sustainable Economic Growth in Romania. *Procedia - Social and Behavioral Sciences, 81*, 147-151. doi:10.1016/j.sbspro.2013.06.403

3. Cao, C. (2008). Chinas Brain Drain At The High End. *Asian Population Studies, 4*(3), 331-345. doi:10.1080/17441730802496532

4. Cassarino, J.P., (2004). Theorising Return Migration: the Conceptual Approach to Return Migrants Revisited.*IJMS: International Journal on Multicultural Societies.* 2004, vol. 6, no.2, pp. 253-279. UNESCO. ISSN 1817-4574. www.unesco.org/shs/ijms/vol6/issue2/art4

5. Chankseliani, M. (2018). The politics of student mobility: Links between outbound student flows and the democratic development of post-Soviet Eurasia. *International Journal of Educational Development, 62*, 281-288. doi:10.1016/j.ijedudev.2018.07.006

6. Chankseliani, M. (2015). Escaping Homelands with Limited Employment and Tertiary Education Opportunities: Outbound Student Mobility from Post-Soviet Countries. *Population, Space and Place, 22*(3), 301-316. doi:10.1002/psp.1932

7. Chen Q (2014) Globalization and transnational academic mobility: The experiences of Chinese academic returnees. PhD dissertation, State University of New York at Buffalo, New York.

8. Cosciug, A. (2013). The Impact of International Student Mobility in Romania. *Europolis.* 7. 93-109

9. Faist, T., & Fauser, M. (2011). The Migration–Development Nexus: Toward a Transnational Perspective. *The Migration-Development Nexus,* 1-26. doi:10.1057/9780230305694_1

10. Fasih, T. (2008). Linking Education Policy to Labor Market Outcomes. doi:10.1596/978-0-8213-7509-9

11. Garam, I (2005). Study on the relevance of international student mobility to work and employement: Finnish employer's views on benefits of studying and work placements abroad. Center for International Mobility

12. Gill, S. (2010). The homecoming: An investigation into the effect that studying overseas had on Chinese postgraduates life and work on their return to China. *Compare: A Journal of Comparative and International Education, 40(3), 359-376. doi:10.1080/03057920903464555*

13. Gu, Q., & Schweisfurth, M. (2015). Transnational connections, competences and identities: Experiences of Chinese international students after their return 'home'. *British Educational Research Journal, 41*(6), 947-970. doi:10.1002/berj.3175

14. Guo, S. (2014). From International Migration to Transnational Diaspora: Theorizing "Double Diaspora" from the Experience of Chinese Canadians in Beijing. *Journal of International Migration and Integration, 17*(1), 153-171. doi:10.1007/s12134-014-0383-z

15. G. J. (2019, May 14). *Education Reforms*. Speech presented at Meeting of Parliament of Georgia in Parliament of Georgia, Tbilisi.

16. Haas, H. D. (2007). Turning the Tide? Why Development Will Not Stop Migration. *Development and Change, 38*(5), 819-841. doi:10.1111/j.1467-7660.2007.00435.x

17. Hao, X., Yan, K., Guo, S., & Wang, M. (2017). Chinese returnees' motivation, post-return status and impact of return: A systematic review. *Asian and Pacific Migration Journal, 26*(1), 143-157. doi:10.1177/0117196817690294

18. H. Y., N. R., & K. A. (2018). The Effect of Internship on Job Performance: An Assessment of Students' Perception. *International Journal of Scientific & Engineering Research, 9*(7). doi:10.13140/RG.2.2.13694.48966

19. International Organization for Migration. (n.d.). Retrieved July 10, 2019, from http://iom.ge/1/mission

20. Kellogg, R. P. (2012). China's Brain Gain?: Attitudes and Future Plans of Overseas Chinese Students in the US. *Journal of Chinese Overseas, 8*(1), 83-104. doi:10.1163/179325412x634319

21. Keren, L., Guo, F., & Ping, H. (2003). China: government policies and emerging trends of reversal of the brain drain. In R. Iredale, F. Guo, & S. Rozario (Eds.), *Return migration in the Asia Pacific* (pp. 88-111). Northampton, MA: Edward Elgar.

22. King, R., & Raghuram, P. (2012). International Student Migration: Mapping the Field and New Research Agendas. *Population, Space and Place, 19*(2), 127-137. doi:10.1002/psp.1746

23. Krueger, A., & Lindahl, M. (2001). Education for Growth: Why and For Whom? doi:10.3386/w7591

24. Le Bail, H., & Shen, W. (2008). The return of "brains" to China: What are the social, economic and political impacts? Asie Visions: 11, 1-31.

25. Massey, D., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A., & Taylor, J. (1994). An Evaluation of International Migration Theory: The North American Case. *Population and Development Review, 20*(4), 699-751. doi:10.2307/2137660

26. Massey, D. (2003). Patterns and Processes of International Migration in the 21st Century. Presented at Conference on African Migration in Comparatiee Pespective, Johannesburg, South Africa: University of Pennsylvania.

27. McNamara, D., & Harris, R. J. (1997). *Overseas students in higher education issues in teaching and learning*. London: Routledge.

28. Migration Data Portal. (n.d.). Retrieved July 9, 2019, from https://migrationdataportal.org/themejavascript:void(0);s/international-students#definition

29. Mincer, J. (1974). *Schooling, experience, and earnings*. New York: National Bureau of Economic Research.

30. M. H., M. W., & S. T. (2017, September). *What do we know about the impact of internships on student outcomes?* [Scholarly project]. Retrieved July 9, 2019, from http://ccwt.wceruw.org/documents/CCWT-report-Designing-Internship-Programs.pdf

31. Pana, M., & Mosora, C. (2013). From Quantity to Quality in Addressing the Relationship Between Education and Economic Development. Procedia - Social and Behavioral Sciences, 93, 911-915. doi:10.1016/j.sbspro.2013.09.302

32. Psacharopoulos, G., & Patrinos, H. (2004). Returns to investment in education: A further update. *Education Economics*, 12(2), 111-134. doi:10.1080/0964529042000239140

33. Perkins, R., & Neumayer, E. (2013). Geographies of educational mobilities: Exploring the uneven flows of international students. *The Geographical Journal, 180*(3), 246-259. doi:10.1111/geoj.12045

34. Psacharopoulos, G., & Patrinos, H. A. (2018). Returns to investment in education: A decennial review of the global literature. *Education Economics, 26*(5), 445-458. doi:10.1080/09645292.2018.1484426

35. Qin, F. (2011). Not a lonely journey: Social embeddedness and the return migration of highly skilled Chinese engineers from the US. In F. Carre, & C. Weller (Eds.), *Proceedings of the 63rd Annual Meeting of Labor and Employment Relations Association* (pp. 74-87). (Labor & Employment Relations Association Series). Labor & Employment Relations Association

36. Riaño, Y., & Piguet, E. (2016). International Student Migration. *Oxford Bibliographies Online Datasets*. doi:10.1093/obo/9780199874002-0141

37. Schlottmann, A. (2010). Education and state economic growth: the fundamental linkage, White Paper 2, UNLV.

38. Schnoes, A. M., Caliendo, A., Morand, J., Dillinger, T., Naffziger-Hirsch, M., Moses, B., . . . O'Brien, T. C. (2018). Internship Experiences Contribute to Confident Career Decision Making for Doctoral Students in the Life Sciences. *CBE—Life Sciences Education, 17*(1). doi:10.1187/cbe.17-08-0164

39. Smelzer, Neil (n.d). Education. Tertrived July 8, 2019, from http://www.socium.ge/downloads/socshesavali/ganatleba_smelzeri.pdf

40. Spence, M. (1973). Job Market Signaling. *The Quarterly Journal of Economics, 87*(3), 355. doi:10.2307/1882010

41. Stevens, P., & Weale, M. (2004). Education and Economic Growth. *International Handbook on the Economics of Education*. doi:10.4337/9781845421694.00009

42. Storti, C. (1997). *The art of coming home*. Yarmouth, Me.: Intercultural Press.

43. Tukhashvili, M. (2013). *Socio-economic problems of returning migrants' reintegration in Georgia* (Rep.). San Domenico di Fiesole, Italy: Robert Schuman Centre for Advanced Studies.

44. UNESCO. (n.d.). *Outbound internationally mobile students by host region*. Retrieved July 9, 2019, from http://data.uis.unesco.org/Index.aspx?queryid=172

45. Walker, S. (2017). State Government of Wisconsin: Budget in brief. Madison, WI: Department of Administration.

46. Wallerstein, I. M. (2004). *World-systems analysis: An introduction*. Durham, NC: Duke University Press.

47. Welch, A., & Hao, J. (2013). Returnees and Diaspora as Source of Innovation in Chinese Higher Education. *Frontiers of Education in China, 8*(2), 214-238. doi:10.1007/bf03396972

48. World Bank (2000). Higher Education in Developing Countries: Peril and Promise. Washington, DC: World Bank.

49. Xiang, B., & Shen, W. (2009). International student migration and social stratification in China. *International Journal of Educational Development, 29*(5), 513-522. doi:10.1016/j.ijedudev.2009.04.006

50. Zweig D & Han D (2010) "Sea turtles" or "seaweed?" The employment of overseas returnees in China. *Kuptsch C (ed.) The Internationalization of Labour Markets*. Geneva: ILO Publications,pp.89104.

51. Y. B. (2015, January 22). Education: The most powerful investment in our future [Web log post]. Retrieved July 9, 2019, from https://blogs.unicef.org/blog/education-the-most-powerful-investment-in-our-future/

52. Yi, L. (2011). Auditing Chinese higher education? The perspectives of returnee scholars in an elite university. *International Journal of Educational Development, 31*(5), 505-514. doi:10.1016/j.ijedudev.2011.03.003

53. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (2017). განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია 2017-2021.

54. სახელმწიფო აუდიტის ანგარიში (2019). უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი.

55. აირჩიე შენი პროფესია. (2019, July 09). Speech presented at აირჩიე შენი პროფესია. Retrieved July 9, 2019, from https://myprofession.gov.ge/videos

7. დანართი

7.1 თავფურცელი ინგლისურად

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ana Lordkipanidze

Integration of Georgian Students who studied abroad into Georgian Labour Market

Sociology

Master's thesis is written with the purpouse of obtaining Master's Degree in Sociology

Supervisor: Prof. Iago Kachkachishvili

Tbilisi, 2019

7.2 ჯგუფური ინტერვიუს სახელმძღვანელო

I. შესავალი

- მოგესალმებით, მე გახლავართ ანა ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი. ჩემი დიდი სურვილია, გავიგო თუ როგორი იყო თქვენი უცხოეთში სწავლების გამოცდილება.
- გთხოვთ, გულწრფელად გამიზიაროთ თქვენი აზრი, რადგან არ არსებობს „სწორი“ ან „არასწორი“ პასუხები და მოსაზრებები. თქვენის ნებართვით, გავაკეთებ ჩაწანერს, მაგრამ საუბარი სრულიად კონფიდენციალურია.
- ჩვენი საუბარი დაახლოებით ორ საათს გასტანს.
- იგრძენით თავი კომფორტულად - იმედი მაქვს, რომ ეს საუბარი საინტერესო და სასიამოვნო იქნება.
-

II. გახურება (Ice Breaker)

- გთხოვთ მომიყვეთ საკუთარ თავზე...

  ა. რას საქმიანობთ ამჟამად ან რას საქმიანობდით ადრე?

  ბ. რა არის თქვენი ჰობი?

III. უცხოეთში სასწავლებლად წასვლის მიზეზები

1. გთხოვთ გაიხსენოთ, პირველად, როდის დაფიქრდით სწავლის უცხოეთში გაგრძელებაზე?

ა. რა გარემოებებმა განაპირობა თქვენი უცხოეთში სწავლის სურვილი?

2. წინასწარ გქონდათ თუ არა არჩეული პროფესია, როდესაც უცხოეთში სასწავლებლად ჩააბარეთ?

ა. თუ გქონდათ წინასწარ შერჩეული პროფესია, რამდენად იცნობდით თქვენი პროფესიის შესაბამის შრომით ბაზარს საქართველოში ?

3. როდესაც უცხოეთში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტეთ, ფიქრობდით თუ არა სწავლის დასრულების შემდეგ იმ ქვეყანაში მოღვაწეობის გაგრძელებას, სადაც გადაწყვითეთ სწავლა? რატომ დიახ, რატომ არა?

4. რამდენად აქცევდით ყურადღებას თავად ქვეყანას, როდესაც უცხოურ უნივერსიტეტებს არჩევდით? რამ განაპირობა თქვენი არჩევანი, სწორედ იმ ქვეყანაში აგერჩიათ სწავლის გაგრძელება, რომელშიც მიიღეთ განათლება? თქვენი შეფასებით, საქართველოსთან შედარებით, ეს ქვეყანა მეტად თუ ნაკლებად არის განვითარებული?

5. როდესაც უცხოეთში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტეთ, გიფიქრიათ თუ არა იმაზე, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდებოდით და იქ მიღებული განათლება უპირატესობას მოგცემდათ საქართველოს შრომით ბაზარზე დასაქმებაში?

ა. გიფიქრიათ თუ არა, რომ შინ დაბრუნებული უფრო მაღალ ანაზღაურებადი სამსახურის პოვნას შეძლებდით?

6. როდესაც უცხოეთში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტეთ, გიფიქრიათ თუ არა იმაზე, რომ იქ მიღებული განათლება კონკურენტუნარიანს გაგხდიდათ რომელიმე სხვა ქვეყანაში დასაქმებულიყავით?

7. რა ფაქტორებმა ითამაშა როლი, გაგეგრძელებინათ სწავლა სწორედ იმ ქვეყანაში, რომელშიც გააგრძელეთ?

8. საქართველოში რომ იგივე დონის უნივერსიტეტი ყოფილიყო ყველა პარამეტრით, რომელშიც თქვენ ისწავლეთ, მაიც უცხოეთში აირჩევდით სწავლის გაგრძელებას თუ დარჩებოდით საქართველოში? რატომ დიახ/რატომ არა?

IV. უცხოეთში სწავლის დროს მიღებული გამოცდილება

1. სწავლის პარალელურად, ხომ არ ყოფილხართ დასაქმებული სრულ ან ნახევარ განაკვეთზე?

ა. თუ იყავით დასაქმებული, რა ტიპის სამუშაოს ასრულებდით? რამდენად იყო ეს სამუშაო დაკავშირებული თქვენს პროფესიასთან? რამდენად კმაყოფილი იყავით თქვენი სამუშაო ანაზღაურებით?

ბ. უცხოეთში სწავლის დროს, რამდენად იყავით ჩართული სტუდენტურ აქტივობებში, როგორიცაა სხვადასხვა სტუდენტური კლუბის წევრობა? რა ტიპის აქტივობებს ასრულებდით?

2. უცხოეთში სწავლის დროს, ხომ არ გაგივლიათ სტაჟირება რომელიმე კომპანიაში? როგორ შეაფასებდით სტაჟირებისას მიღებულ გამოცდილებას?

V. სამშობლოში დაბრუნების მოტივაცია

1. რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება, სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნებულიყავით საქართველოში?

ა. რა როლი ითამაშა თქვენმა ოჯახმა და სამეგობრო წრემ თქვენს მიერ სამშობლოში დაბრუნების გადაყვეტილების მიღებაზე?

ბ. რა როლი ითამაშა თქვენს მიერ სამშობლოში დაბრუნების გადაყვეტილების მიღებაზე კულტურულმა განსხვავებებმა თქვენს სამშობლოსა და იმ ქვეყანას შორის, სადაც მიიღეთ განათლება?

ც. გქონდათ თუ არა მოლოდინი, რომ საქართველოში მეტი დასაქმების პერსპექტივა გექნებოდათ, უცხოეთთან შედარებით?

2. ზოგადად, რამდენად კომპფორტულად გრძნობდით თავს იმ სასწავლო დაწესებულებაში რომელშიც მიიღეთ განათლება? თუ შეიძლება განვიხილოთ კულტურული და სოციალური ასპექტები.

3. სანამ დაბრუნდებოდით საქართველოში, გქონდათ თუ არა ზოგადი წარმოდგენა მაინც, თუ რითი უნდა დაკავებულიყავით საქართველოში?

4. უცხოეთში ყოფნის დროს, რამდენად ხშირად ეცნობოდით ელექტრონული მედიის დახმარებით, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

ა. თუ ეცნობოდით, ძირითადად რა ტიპის ინფორმაციას ეცნობოდით ხოლმე? რა სიხშირით?

VI. ინტეგრაცია საქართველოს შრომით ბაზარზე

1. ამჟამად დასაქმებული ბრძანდებით?

ა. თუ დიახ, სად მუშაობთ? რამდენად კავშირშია თქვენი ამჟამინდელი სამსახური თქვენს მიერ უცხოეთში მიღებულ აკადემიურ განათლებასთან? როგორ შეაფასებდით თქვენს სამუშაო გარემოს? ზოგადად როგორ შეაფასებდით თქვენი თანამშრომლების პროფესიონალიზმის დონეს? თქვენი აზრით თქვენი ამჟამინდელი სამუშაო პოზიცია რამდენად შეესაბამება თქვენს მიერ უცხოეთში მიღებულ გამოცდილებასა და ცოდნას? როგორ შეაფასებდით თქვენს ანაზღაურებას?

ბ. თუ ამჟამად არ ბრძანდებით დასაქმებული, თქვენი აზრით რა გარემოებები განაპირობებს ამას?

2. როდესაც საქართველოში ჩამოხვედით, გქონდათ თუ არა წინასწარ განსაზღვრული თუ სად გააგრძელებდით მუშაობას?

ა. თუ გქონდათ, როგორ გაიგეთ ამ სამუშაო პოზიციის შესახებ?

ბ. თუ არ გქონდათ, საიდან დაიწყეთ სამუშაო ადგილების მოკვლევა?

3. სახელმწიფოს მხრიდან თუ გქონდათ რაიმე სახის ხელშეწყობა რათა გეპოვათ თქვენთვის სასურველი სამუშაო ადგილი?

4. თუ იგრძენით საპირისპირო კულტურული შოკი სამშლობლოში დაბრუნებისას?

5. თქვენი აზრით, როგორი ტიპის პროცესები გაამარტივებდა უცხოეთში განათლება მიღებული ადამიანების დასაქმებას საქართველოს შრომით ბაზარზე?

6. თქვენი აზრით რამდენად ხდება თქვენს სწავლაში ჩადებულ ინვესტიციის ათვისება: 1. პირადად თქვენი მხრიდან 2. თქვენი პროფესიის მხრიდან 3. თქვენი ქვეყნის (საქართველოს) მხრიდან?

7. აპირებთ თუ არა საქართველოში ცხოვრების გაგრძელებას? რატომ დიახ/რატომ არა?

7.3 ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი- განათლების საერთაშორისო ცენტრი

I. შესავალი

- მოგესალმებით, მე გახლავართ ანა ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი. ჩემი დიდი სურვილია, გავიგო თუ როგორ ხდება საქართველოდან სტუდენტების უცხოეთში გაგზავნა და როგორია მათი გამოცდილება.
- გთხოვთ, გულწრფელად გამიზიაროთ თქვენი აზრი, რადგან არ არსებობს „სწორი“ ან „არასწორი“ პასუხები და მოსაზრებები. თქვენის ნებართვით, გავაკეთებ ჩაწანერს, მაგრამ საუბარი სრულიად კონფიდენციალურია.
- იგრძენით თავი კომფორტულად - იმედი მაქვს, რომ ეს საუბარი საინტერესო და სასიამოვნო იქნება.

II. განათლების საერთაშორისო ცენტრის პოლიტიკის მიმოხილვა

1. რა მიზნით აგზავნის განათლების საერთაშორისო ცენტრი მოსწავლეებს უცხოეთში სასწავლებლად?

- რა უპირატესობა აქვს განათლებისათვის სტუდენტების უცხოეთში გაგზავნას?

2. რა კრიტერიუმიების გათვალისწინებით ხდება ბავშვისთვის კოლეჯის/უნივერსიტეტის შერჩევა?

- თუ ენიჭება რაიმე პრიორიტეტი ქვეყნებს, სადაც სტუდენტები აირჩევენ განათლების მიღებას?

3. არის თუ არა საქართველოს განათლების სამინისტროდან ნაკარნახები მიმართულებები, რომლებზეც უნდა გაიგზავნონ სტუდენტები სასწავლებლად?

4. რაიმე ტიპის ხელშეკრულება თუ არსებობს, რომ უცხოეთში განათლების მიღების შემდეგ, სტუდენტები საქართველოში დაბრუნდნენ?

- წინასწარ თუ ხდება სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხოეთში მიდიან სასწავლებლად, კონსულტაცია განათლების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელთან, თუ სად დასაქმდებიან ისინი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ?

III. უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტების გამოცდილება

1. რაიმე ტიპის ხელშეწყობა თუ არის განათლების საერთაშორისო ცენტრიდან უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტებისათვს?

- რაიმე ტიპის ღონისძიებები თუ იმართება ასეთ სტუდენტების დასასაქმებლად?
- თუ წარმოებს სტატისტიკა განათლების საერთაშორისო ცენტრიდან უცხოეთში გაგზავნილი სტუდენტების რა რაოდენობა ბრუნდება საქართველში და სად საქმდება?

2. თუ მიმდინარეობს უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, როგორც იქ მიღებული გამოცდილებით, ასევე უკან დაბრუნების შემდეგ?

- თუ დიახ, ხომ ვერ გამაცნობდით რამოდენიმე სიტყვით ამ კვლევის შედეგებს?

7.4 ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი- თბილისის ამერიკული აკადემია

I. შესავალი

- მოგესალმებით, მე გახლავართ ანა ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი. ჩემი დიდი სურვილია, გავიგო თუ როგორ ხდება საქართველოდან სტუდენტების უცხოეთში გაგზავნა და როგორია მათი გამოცდილება. დიდი მადლობა, რომ გამონახეთ დრო და დამთანხმდით ინტერვიუზე.
- გთხოვთ, გულწრფელად გამიზიაროთ თქვენი აზრი, რადგან არ არსებობს „სწორი“ ან „არასწორი“ პასუხები და მოსაზრებები. თქვენის ნებართვით, გავაკეთებ ჩაწანერს, მაგრამ საუბარი სრულიად კონფიდენციალურია.
- იგრძენით თავი კომფორტულად - იმედი მაქვს, რომ ეს საუბარი საინტერესო და სასიამოვნო იქნება.

II. მოსწავლეების მომზადება უცხოეთში წასასვლელად

1. როდესაც სტუდენტებს ეხმარებით უნივერსიტეტების არჩევაში, უცხოეთში სწავლების გასაგრძელებლად, რამდენად ითვალისწინებთ თავად ქვეყნის კულტურულ ასპექტებს სადაც მოსწავლეს ურჩევთ სწავლის გაგრძელებას?
2. როდესაც მოსწავლეებს ეხმარებით უნივერსიტეტის არჩევაში, რამდენად გაქვთ მათთან საუბარი, თუ რომელ პროფესიას უნდა დაეუფლონ უცხოეთში სწავლისას?
    - თუ ესაუბრებით, კონკრეტული პროფესიით რა სფეროში შეიძლება მომავალში დასაქმება? ზოგადად, თუ გაქვთ მოსწავლეებთან საუბარი, მომავალში საქართველოში დასაქმებასთან დაკავშირებით?

3. უცხოეთში გამგზავრებამდე, თუ უტარებთ მოსწავლეს კონკრეტულ ტრენინგს, თუ რა გარემოება შეიძლება დახვდეს უცხოეთში, ახალ უნივერსიტეტში?

III. **საქართველოში დაბრუნება უცხოეთში განათლების მიღების შემდეგ**

1. თუ აწარმოებთ რაიმე ტიპის სტატისტიკას, თუ რას საქმიანობენ უცხოეთში სწავლის დასრულების შემდეგ თქვენი კურსდამთავრებულები? ხომ ვერ გაგვიზიარებდით, თუ როგორია ვითარება ამ კუთხით?
2. ზოგადად, თქვენი დაკვირვებით რამდენად უჭირთ უცხოეთიდან დაბრუნებულ სტუდენტებს საქართველოს შრომით ბაზართან ადაპტაცია?
    - თქვენი აზრით, რა ტიპის დაბრკოლებებს შეიძლება აწყდებოდნენ უცხოეთში განათლების დასრულების შემდეგ, ინდივიდები საქართველოს შრომით ბაზარზე?

3. თქვენი აზრით, რა ტიპის ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს იმისათვის, რომ უცხოეთიდან დაბრუნებული სტუდენტების ინტეგრაცია საქართველოს ბაზარზე უფრო მარტივი გახდეს?